პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი
26
სექტემბერი
1935 წ.
№ 224 (4380)

დღეს ნომერში

- პარტმუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ნიშნით. (მეთაური).
- კომუნიზმის პროპაგანდისტები. („პრავდის“ მეთაური).
- საქართველომ შეასრულა პურის ჩაბარების სავალდებულო გეგმა.
  აფხაზეთმა შეასრულა თამბაქოს აღების გეგმა.
- პარტიული მშენებლობა.
- შალვა დადიანი—გორი.
- პატარა ფელეტონი—„ვუშველოთ“ ხერხეულიძეს.
- წითელ არმიაში გაწვევის პირველი დღე.
- იტალიის პასუხი „ხუთის კომიტეტს“.
- აბისინიის დათმობანი.
- ჩინეთის წითელი არმიის წარმატებანი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტმუშაობის შემდგომ გაუმჯობესების ნიშნით

უკვე სამ თვეზე მეტია, რაც პარტიული დოკუმენტების შემოწმება დაიწყო. ეს შემოწმება იყო და არის არა მარტო ყოველი კომუნისტის საბუთების შემოწმება, ამ საბუთების სისწორის გამორკვევა და ზუსტი აღრიცხვა, არამედ პარტიაში შესვლის ყოველი კომუნისტის საქმიანობის, თვით პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის შემოწმება, შემოწმება იმისა, თუ რამდენად მოწესრიგებულია „პარტიული მეურნეობა“, პარტიული საბუთების შენახვა, დაცვა, ბოლოს, შემოწმება და გამომჟღავნება ისეთი ადამიანებისა რომელნიც სხვადასხვა მახინაციით შემომძვრალან პარტიაში, რომელთაც პარტიაში შესვლის დროს გვერდი აუვლიათ პარტიის წესდებისთვის, პარტიულობას იყენებდნენ ჟულიკური მიზნებისათვის და ყველაფერ ამით არღვევდნენ წესრიგს ჩვენს „პარტიულ სახლში“.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 13 მაისის დახურული წერილისა და შემდეგ პარტდოკუმენტთა შემოწმების მიმდინარეობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე—საქართველოს პარტორგანიზაციაში სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული. ზოგ პარტორგანიზაციაში დამთავრდა, ხოლო ზოგან შემოწმება დასასრულს უახლოვდება. პარტიული საბუთების შემოწმების შედეგები განიხილეს პირველადმა პარტორგანიზაციებმა, რაიკომის ბიუროებმა, პლენუმებმა. სადაც არ განუხილავთ, უახლოეს დროში იქაც განიხილავენ. მთელი პარტორგანიზაციის წინაშე შემოწმება გაიარა ყოველმა კომუნისტმა, შემოწმდა „პარტიული მეურნეობა“.

რა გამოარკვია პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ?

გამოირკვა, რომ ჩვენს პარტიაში ლენინ-სტალინის პარტიაში, აქა-იქ შემოპარულ იყვნენ შენიღბული კლასობრივი მტრები, ჟულიკები, ვიგინდარები, ყოფ. თერგვარდიელები, ავანტურისტები, კლასობრივად უცხო ელემენტები, ყოფილი ადამიანები და სისხლის სამართლის დამნაშავენიც კი, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ბოლშევიკურ პარტიასთან.

გამოაშკარავდა, რომ პირბადე აფარებული კლასობრივი მტერი და მათი აგენტები მიძვრებოდნენ ჩვენს პარტიაში, მის აპარატებში კი, რათა თვითნებურად დაერიგებინათ პარტიულობის საამაყო და სახახელო საბუთი—პარტიული ბილეთი ჩვენთვის მიუღებელ და კლასობრივად უცხო ელემენტებისათვის. ამით ისინი ცდილობდნენ გაეადვილებინათ ამ ელემენტებისთვის ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. ასეთი „აღმრიცხველები“ ბნელ პირებს ურიგებდნენ პარტიულ ბილეთებს. ასეთი არამზადები შეგნებულად რევდნენ და ქაოსს ჰქმნიდნენ „პარტიულ მეურნეობაში“.

გამოაშკარავდა, რომ ცალკეულ პირველად ორგანიზაციებში არ ყოფილა საკმაო კლასობრივი სიფხიზლე, ამ სიფხიზლეს არ ჰქონდა შეტევითი ხასიათი, ადგილი ჰქონდა ზოგიერთ კომუნისტის მხრით რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებას. ის მცირე ცნობებიც კი, რომელიც დღეს ქვეყნდება ჩვენს გაზეთში, ყოველივე ამას ადასტურებს. პარტია ასეთი არამზადებისაგან და „ზედმეტ ბარგისაგან“ განიტვირთა, გაიწმინდა. მათ ჩამოერთვათ პარტიული ბილეთები.

გამოაშკარავდა ისიც, რომ პარტიული დოკუმენტების შემოწმება, რომელიც არის სერიოზული პარტიულ-პოლიტიკური საქმე, ზოგიერთმა რაიკომმა (მაგ. ხობისამ) დოკუმენტების უბრალო ტექნიკური შედარებამდე დაიყვანა, ერთი დაკვრით სურდათ მისი მოთავება, ვერ გაიგეს რა მისი არსებითი შინაარსი. ეს შეცდომა დროულად გამოსწორდა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის უშუალო ხელმძღვანელობით.

პარტიული საბუთების შემოწმებამ უფრო მკვეთრად დაგვანახვა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი. უფრო გააუმჯობესა პარტიული მუშაობის ხარისხი. აი რას ამბობს საქ. კ.პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. მ. კილაძე:

„მე ახლა ნამდვილად ვიცი, რომელ ორგანიზაციას მივაქციო უფრო მეტი ყურადღება, როგორ მოვაწყო პარტიული დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა... ახლა უფრო ზუსტი და ნათელი წარმოდგენა მაქვს პირველადს პარტორგანიზაციებზე. კარგად ვიცნობ, ვინ ხელმძღვანელობს მათ, ვის ესაჭიროება დახმარება და ვის რისი გაკეთება შეუძლიაო“.

ამ სიტყვებს, ცხადია, რაიკომის ყველა მდივანი გაიმეორებს.

და არა მარტო ეს. პარტიული საბუთების შემოწმებამ ჩვენ გადაგვიშალა ნათელი პერსპექტივა პარტიული მუშაობის ბოლშევიკური გაქანებისა და გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. მან გამოამჟღავნა ახალი სარეზერვო კადრები, რომლებიც დაჩრდილულ ან უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი, რადგან მათ საკმაოდ არ იცნობდნენ ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელები, რათა სისტემატური და უფრო ღრმა მუშაობა ეწარმოებინათ მათთან, დაეწინაურებინათ ისინი თავიანთი უნარის მიხედვით უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე. ასეთი სარეზერვო კადრები ხომ ათეულობით აღრიცხეს და შეისწავლეს პარტრაიკომების მდივნებმა, ამ კადრებთან ახლა საფუძვლიანი მუშაობაა საჭირო.

ავიღოთ პარტიული მუშაობის სხვა დარგები. შემოწმებამ ნათელჰყო, რომ ამ უკანასკნელ ხანს პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მთელ რიგ სერიოზულ მიღწევებთან ერთად, ბევრგან რაიკომები ცოცხალ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას ვერ უწევენ პირველადს პარტორგანიზაციებს, ერთეულ კომუნისტებსა და თანამგრძნობებს.

პარტიული დოკუმენტების შედეგების შეჯამებამ, რომელიც ზოგიერთმა რაიკომმა (ყაზბეგის, ჩხარის, ახპინძის, ტფილისის რაიონის და სხვ.) უკვე მოახდინა, კიდევ ერთხელ ცხადჰყო იმის აუცილებლობა, რომ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა და შინაპარტიული დემოკრატია, გავამახვილოთ კლასობრივი სიფხიზლე, ავამაღლოთ პარტიის წევრთა იდეურ-თეორიული დონე, უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ პარტიის ისტორია, კერძოდ ამხ. ბერიას მოხსენება ა.-კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე, სისტემატურად ვიმუშაოთ ყოველ კომუნისტთან და მეტი მზრუნველობით მოვეპყრათ ადამიანებს, კადრებს, ბოლშევიკურად გამოვზარდოთ ისინი, ორგანიზებულად ჩავატაროთ პარტიული კრებები და უფრო ავამაღლოთ მათი ხარისხი, რაიკომის აპარატი გავხადოთ უფრო მოქნილი და დადგენილებათა შესრულების შემოწმება გადავაქციოთ ჩვენი მუშაობის ღერძად, მოწინავე პარტორგანიზაციების დადებითი გამოცდილება გავუზიაროთ ურთიერთს და ყველაფერ ამით პარტიული მუშაობა ავიყვანოთ გაზრდილ მოთხოვნილებათა მაღალ საფეხურზე, უფრო მეტად შევამჭიდროვოთ ჩვენი ფოლადისებური რიგები.

ასეთია წინასწარი დასკვნები, რომლებიც უნდა გამოვიტანოთ და რომელთა განხორციელებისათვის უნდა იბრძოლოს ყოველმა კომუნისტმა, პარტიულმა ორგანიზაციამ მთლიანად.

საქართველოს პარტორგანიზაცია პარტიულ დოკუმენტებს ამოწმებდა ისე, როგორც საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გვასწავლა. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ადგილებს კონკრეტულ-ოპერატიული დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა. პარტიული დოკუმენტების შემოწმება ჯერ არ დამთავრებულა ყველგან. მოპოვებული გამოცდილება და გაკვეთილები უნდა გამოიყენოს თვითეულმა პარტორგანიზაციამ, თვითეულმა რაიკომმა, რათა უფრო მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ „პარტიული მეურნეობა“, უფრო განვამტკიცოთ პარტიის რიგების ბოლშევიკური ორგანიზებულობა და დარაზმულობა.

მოსკოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტი—ამხ. სტალინს
სსრ კ-ის სახკომსაბჭო—ამხ. მოლოტოვს
ცენტრალურ ორგანოს „პრავდას“

საქართველოში ყველა სექტორისათვის დაწესებული პურის ჩაბარების გეგმა 1.816.800 ფუთის რაოდენობით შესრულებულია მთლიანად და ვადამდე. ა-წ. 20 სექტემბრისათვის „ზაგოტზერნოს“ საწყობებში შემოვიდა 1.863.245 ფუთი პური. ცალკეულ სახეთა მიხედვით პურის ჩაბარების გეგმა შესრულებულია შემდეგ ვადებში: საბჭოთა მეურნეობების მიერ — 15 აგვისტოს, საკოლმეურნეო გლეხური სექტორის მიერ — 25 აგვისტოს, სათესლე - სასურსათო სესხისა და მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ნატურ-ანაზღაურების ხაზით თავთავიანი კულტურებით — 20 სექტემბერს. შევუდექით სიმინდის აღებას და გეგმის ზევით ჩაბარებას მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში.

საქართველოს კ.პ.(ბ) ც.კ-ის მდივანი: **ლ. ბერია**

1935 წ. 25 სექტემბერი.

□ □ □

„ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში“

ტყიბული, 25 სექტემბერი. (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან) „კომუნისტის“ 21 სექტემბრის მოწინავე წერილის „ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში“ დამუშავებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს სტალინის სახელობის მაღაროს მუშებმა: მნგრეველმა **დოლიძემ** შტრეკის გაყვანაში დაამყარა ახალი რეკორდი—გეგმით გათვალისწინებულ ორმეტრნახევრის ნაცვლად 8 საათში გაიყვანა 11 მეტრი, **ბაგნაევმა**—შვიდნახევარი, ხოლო მნგრეველმა მუშამ ამხ. **ბეჟკენაძემ** გეგმით გათვალისწინებულ 18 ტონა ნახშირის ნაცვლად, მოჭრა 30 ტონა, **ფურცხვანიძემ** 13 ტონა ნახშირის ნაცვლად ამოიღო 25 ტონა.

ყველაზე მეტი გარდატეხა მოხდა სტალინის სახელობის მაღაროს—თიხნარის უბანში.

იტალიის პასუხი „ხუთის კომიტეტს“

აბისინიის დათმობანი

ლონდონი, 23 სექტემბერი. აბისინიის სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა პრინციპულად მიიღოს „ხუთის კომიტეტის“ წინადადებანი, მაგრამ ამავე დროს ითხოვა გაუგზავნონ მას წინადადებათა სრული ტექსტი მათ საბოლოოდ დამტკიცებამდე. ნეგუსმა „ტაიმსის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ სანქციებით. ნეგუსმა მოითხოვა, რომ სახელმწიფოებმა გამოიყენონ ფინანსიურ-ეკონომიური სანქციები და დახურონ სუეცის არხი იტალიის გემებისათვის. ამავე დროს ნეგუსმა ითხოვა, რომ სხვა სახელმწიფოებმა მიაწოდონ აბისინიას იარაღი, სამხარი მასალა, თვითმფრინავები და გაუგზავნონ თავიანთი სამხედრო ინსტრუქტორები. ნეგუსმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ინგლისს უნდა მოეხსნა იარაღის გატანის აკრძალვა და აბისინიის სასარგებლოდ გამოეშვა სესხი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა ადის-აბება-ჯიბუტის რკინიგზის აბისინიის აქციებით. თუ ომი დაიწყო,—განაცხადა ნეგუსმა, — აბისინიის ჯარები უკან დაიხევენ რათა დაანახვონ ყველას, თუ ვინ არის აგრესორი, ხოლო შემდეგ ისინი ყოველგვარი საშუალებით დაიცავენ აბისინიას. ამასთან ნეგუსი მაშინ კვლავ მიმართავს ერთა ლიგას ჩაერიოს საქმეში თავისი წესდების საფუძველზე. ნეგუსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აბისინია წავიდა შემდეგ დათმობებზე: 1) ოგადენის ტერიტორიის დათმობა, რის ნაცვლადაც მას უნდა მიეცეს ზღვაზე გასასვლელი, 2) ერიტრეის საზღვარზე მდებარე ტერიტორიების დათმობა, რის ნაცვლად მას უნდა მიეცეს სათანადო სასყიდელი, 3) აბისინიაში ეკონომიური ექსპანსიის საშუალების მიცემა ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის იტალიისთვისაც, 4) ადმინისტრატიული რეფორმა უცხოელ მოხელეთა დახმარებით, რომლებსაც აბისინიის მთავრობა დანიშნავს, 5) პოლიციისა და სასამართლოების რეორგანიზაცია, 6) აბისინიის საზღვრების დაწესება და მათი უზრუნველყოფა სამი სახელმწიფოს ხელშეკრულებით აბისინიასთან, 7) აბისინიის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა სამი სახელმწიფოს მიერ, 8) საერთაშორისო სესხი აბისინიის ეკონომიური განვითარებისათვის ერთა ლიგის მფარველობით (ადს).

□

სტეფანის სააგენტოს ცნობა

რომი, 24 სექტემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„მუსოლინი მინისტრთა საბჭოში გამოვიდა მოკლე ინფორმაციით პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე 21-დან 24 სექტემბრამდე; მან აღნიშნა, რომ იტალია ჟენევაში კონტრ-წინადადებებს არ წამოაყენებს, მაგრამ სიტყვიერად ჩამოუთვლის იმ მიზეზებს, რომელთა გამო „ხუთის კომიტეტის“ წინადადებანი მისთვის მიუღებელია. ყოველივე ის, რაც 21 სექტემბრას შემდეგ მოხდა, — განაცხადა მუსოლინიმ, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იტალიის მთავრობის პოზიცია არ შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო. შემდეგ მუსოლინიმ გააშუქა მოვლენათა შესაძლო მსვლელობა ერთა ლიგის ზოგიერთ მუხლთან და იმ პოზიციასთან შეფარდებით, რასაც იტალია დაადგება გარემოებათა მიხედვით“.

□

ა. ბარბიუსის სახლის გაძარცვა

პარიზი, 23 სექტემბერი. „ლუმანიტე“ იუწყება, რომ მირამარში გაძარცვეს სახლი, რომელშიაც უკანასკნელ დროს ბარბიუსი ცხოვრობდა. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეს აქტი ჩაიდინეს ფაშისტებმა, რომლებმაც საზიზღარი შეურაცყოფა მიაყენეს უდიდესი ფრანგი რევოლუციონერის, მწერლის და სახალხო ფრონტის ტრიბუნის ხსოვნას (ადს).

ლონდონი, 23 სექტემბერი. როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, „ხუთის კომიტეტს“ ყველა წევრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იტალიის პასუხი არ შეიძლება გახდეს დისკუსიის საგანი ერთა ლიგის წესდების ჩარჩოებში. სააგენტოს სიტყვით, იმ გარემოებას, რომ იტალიამ მოითხოვა სრული კონტროლი პოლიციასა, ჟანდარმერიასა და აბისინიის სხვა შეიარაღებულ ჯარებზე, „სთვლიან ისეთ მოთხოვნად, რომელიც ჩაშლას უქადის ახლანდელ მოლაპარაკებას“. აღნიშნავენ, რომ ლავალმა იკისრა იტალიის პოზიციის გაკრიტიკების ინიციატივა, იდენი კი სდუმს და „ლავალისთვის მიუნდვია ჩამოაყალიბოს ინგლის-საფრანგეთის საერთო თვალსაზრისი“.

დღეს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს ერთმა ავტორიტეტულმა პირმა რომში განუცხადა:

„კარი ჯერ კიდევ ღიაა შეთანხმებისათვის. ჩვენ ერთა ლიგისაგან მოველით ახალ წინადადებებს, რომლითაც შეუძლიათ შექმნან მინიმალური ბაზა დისკუსიისათვის, ისეთი ბაზა, რომელსაც ვერ ჰქმნიდნენ უკანასკნელი წინადადებანი“.

□

„ხუთის კომიტეტის“ მოხსენების კრიტიკა

ჟენევა, 24 სექტემბერი. „ხუთის კომიტეტმა“ დაამტკიცა ერთა ლიგის საბჭოსათვის წარსადგენი მოხსენების ტექსტი. ამ მოხსენებაში მოყვანილია კომიტეტის მუშაობის ისტორია, მოცემულია კომიტეტის წინადადებათა დასაბუთება, მოყვანილია ციტატები აბისინიის და იტალიის პასუხებიდან და აღნიშნულია, რომ ის საერთაშორისო დახმარება, რისთვისაც აბისინიამ ერთა ლიგას მიმართა, კომიტეტის შეხედულებით ორივე ქვეყნისათვის მისაღებ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

იტალიის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, კომიტეტს უსაყვედურებენ, რომ მან არ განიხილა არც ის ბრალდებანი, რომლებსაც იტალია აბისინიას უყენებს, არც ის საკითხი—ღირსია თუ არა აბისინია იყოს ლიგის წევრი. კომიტეტმა,—აღნიშნულია განცხადებაში, — მნიშვნელობა არ მისცა იმას, რომ რაკი აბისინიამ არ შეასრულა ის პირობები, რომლებითაც იგი მიღებული იყო ერთა ლიგაში, ამით, იგი იტალიის მთავრობის აზრით უნდა ჩაითვალოს ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც ერთა ლიგის წევრი არ არის. განცხადების თანახმად, აბისინია არ შეიძლება ჩაითვალოს ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად, იმისათვის, რომ სწორედ იქნას გადაჭრილი აბისინიის პრობლემა, იტალიის აზრით, საკუთრივ აბისინიას (ე. ი. მის ძველ პროვინციებს: ამარას, ტიგრეს, გოჯამს, შოას) უნდა მოეხსნას საშუალება, „ავნოს მეზობლებს“ და აბისინიის ბატონობისაგან განთავისუფლებულ იქნან სანაპირო რაიონებში მცხოვრები სხვადასხვა ტომები. ის დახმარება, რასაც აბისინიას უპირებენ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას „ბარბაროსული ქვეყნის მიმართ, რომელსაც თანამედროვე სამხედრო ტექნიკა მოეპოება“. აბისინიის პრობლემა არ შეიძლება გადაჭრილ იქნას ერთა ლიგის ჩარჩოებში, ვინაიდან წესდება ასეთ შემთხვევებს არ ითვალისწინებსო.

აბისინიის პოლიციისა და ჟანდარმერიის რეორგანიზაცია, რასაც „ხუთის კომიტეტი“ მოითხოვს, იტალიის მთავრობის აზრით, შეუძლია კიდევ უფრო საშიში მეზობელი გახადოს აბისინია, მით უმეტეს, რომ კომიტეტი სრულიად უკონტროლოდ სტოვებს აბისინიის არმიას. იტალია მკაცრად ილაშქრებს ინგლის-საფრანგეთის იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს, მიეცეს აბისინიას ზღვაზე გასასვლელი ინგლისის და საფრანგეთის სომალიზე გავლით. იტალიის მთავრობის აზრით, თუ აბისინია საზღვაო სახელმწიფო გახდა, იგი კიდევ უფრო საშიში შეიქნება იტალიისათვის. იტალიის მთავრობა იმასაც უსაყვედურებს „ხუთის კომიტეტს“, რომ მან უგულებელჰყო ინგლის-საფრანგეთის 1906 წლის ხელშეკრულების სათანადო მუხლი. ეს ხელშეკრულება იტალიას ანიჭებდა სპეციალურ ტერიტორიულ უფლებებს, რაც დაკავშირებულია იტალიის მიერ იმ რკინიგზის აგებასთან, რომელსაც უნდა შეერთებინა ერიტრეა იტალიის სომალისთან და გაევლო აბისინიის ტერიტორიაზე ადის-აბებას დასავლეთით. (ადს).

□

ინგლისის და აბისინიის შეთანხმება

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. „ნიუიორკ-ჰერალდ ტრიბუნს“ ადის-აბებიდან ატყობინებენ: აბისინიის მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა პირმა განაცხადა, აბისინიასა და ინგლისს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის ძალითაც აბისინია ვალდებულია ისე არაფერი წამოიწყოს, თუ სათანადო ინსტრუქცია არ ექნება ინგლისისგანო.

იმავე პირმა განაცხადა, იტალიის ჯარის თავდასხმის შემთხვევაში, აბისინია საყოველთაო მობილიზაციას არ გამოაცხადებს. აბისინიის ჯარები ნაცვლად შეტევისა, ან თავდაცვისა, ნელნელა დაიხევენ უკან, სანამ ინგლისისაგან ინსტრუქციებს მიიღებდნენო. (ადს).

□

ბრძანება საყოველთაო მობილიზაციის შესახებ

ბერლინი, 24 სექტემბერი. გაზეთები ათავსებენ „იუნაიტედ პრესის“ ცნობას ადის-აბებიდან, რომლის თანახმად ნეგუსმა ხელი მოაწერა ბრძანებას საყოველთაო მობილიზაციის შესახებ, ამ ბრძანებით ყველა აბისინელი, რომელსაც კი იარაღის მოხმარა შეუძლია, დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს თავისი ტომის ბელადთან. ბრძანებას ჯერ საიდუმლოდ ინახავენ. მის გამოქვეყნებას მოელიან 28 სექტემბერს.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ადის-აბების კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ პირველი დღე იყო, როცა ადის-აბებაში წვიმა არ ყოფილა. წვიმების პერიოდი, როგორც ცნობილია, დღემდე ხელს უშლიდა აბისინიაში სამხარო ოპერაციების დაწყებას. (ადს).

□

აბისინიის მთავრობის პასუხი „ხუთთა კომიტეტის“ წინადადებაზე

ჟენევა, 23 სექტემბერი. გამოქვეყნებულია აბისინიის მთავრობის პასუხი „ხუთთა კომიტეტის“ წინადადებებზე. აბისინიის მთავრობა თანახმაა დაუყოვნებლივ შეუდგეს მოლაპარაკებას ამ წინადადებათა საფუძველზე. კერძოდ ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება (ტერიტორიული ცვლილებათა შესახებ, თუ საფუძვლად იქნება მიღებული აბისინიისთვის ხელსაყრელი კომპენსაცია (ადს).

ჩინეთის წითელი არმიის წარმატებანი

ბეიპინი, 22 სექტემბერი. გაზეთ „ჩენბაოს“ გადმოცემით, ჩინეთის წითელი არმიის წინააღმდეგ, რომელიც ხუნანის პროვინციაში მოქმედებს, თავმოყრილია მთავრობის ჯარის ექვს დივიზიაზე მეტი. „ჩენბაო“ სწერს, რომ „ხო ლუნსა და სიაო კეს შორის აქტიური თანამშრომლობის შედეგად უაღრესად გაიზარდა ჩინეთის წითელი არმიის ძალები. საგრძნობლად გაფართოვდა ჩინეთის წითელი არმიის მოქმედების რაიონი“. გაზეთის სიტყვით, ვანძიატანში (ხუნანის პროვინციის დასავლეთი ნაწილი) შეიქმნა ხუნანის საბჭოთა რაიონის მთავრობა და წითელი არმიის შტაბი. (ადს).

მზადება კოლმეურნეობებისათვის სახელმწიფო აქტების გადასაცემად

თათბირი საქ. მიწსახკომში

კოლმეურნეობებისათვის მიწების სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტების ჩაბარებას წინ უსწრებს მიწების მოწყობა, მინდვრების თესლბრუნვის ნაკვეთებად დაყოფა, საზღვრების დაწესება, ნიშნების დასმა, გეგმა-პროექტების შედგენა და სხვ. ყველა ამ სამუშაოს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში, იხილავს და ამტკიცებს რაიაღმასკომის პრეზიდიუმი.

სწორედ ამ მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობის განხილვას, სახელმწიფო აქტების შევსების და ჩაბარების გაცნობას ისახავდა მიზნად 23 სექტემბრის თათბირი, რომელიც ჩატარდა მიწსახკომში ამხ. **შ. მათიკაშვილთან** საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის სას.-სამ. განყ. გამგის ამხ. **ა. კეკელიას** მონაწილეობით.

თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს იმ რაიონების აღმასკომების თავმჯდომარეები, მიწგანის გამგეები და მიწათმომწყობთა ბრიგადების ხელმძღვანელები, რომლებმაც წელს კოლმეურნეობებს უნდა ჩააბარონ მიწების სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტები.

ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დოკუმენტის ჩაბარებისათვის მზადების ირგვლივ თათბირზე საინფორმაციო მოხსენებებით გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **ხაშურის** რაიონიდან — შილაკაძე, სარიბეგოვი, **გორიდან** — კალანდაძე, ბურაკოვი, ისრაელიანი, **სიღნაღიდან** — ალავერდაშვილი, **ბორჩალოდან** — ამხ. სიმონიანი, **ყარაიადან** — ბუნიატოვა, **ლაგოდეხიდან** — ბექაშვილი, **ქუთაისიდან** — გველესიანი, პაქსაშვილი, **ვანიდან** — ა. გვეტაძე, **აბაშიდან** — ჩაგანავა, **ზუგდიდიდან** — ჯანაშია, **ცხაკაიდან** (სენაკი) — პერტენავა, **მახარაძიდან** — გოგუაძე, კობალაძე, **ლანჩხუთიდან** — სოსელია, წილოსანი.

ამ გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ რაიონების უმრავლესობაში კოლმეურნეობებისათვის სახელმწიფო აქტების ჩასაბარებლად მზადება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თათბირზე განსაკუთრებით აღინიშნა **ხაშურის, ლაგოდეხის და ვანის** რაიაღმასკომების ნაყოფიერი მუშაობა.

მაგ. ხაშურის რაიონში მიწათმოწყობა პირველ ოქტომბრამდე 40 კოლმეურნეობაში დამთავრდება. აქედან სახელმწიფო აქტების ჩასაბარებლად უკვე მზად არის 20 კოლმეურნეობა.

ლაგოდეხის რაიონის 6 სასოფლო საბჭოში, როგორც რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ბეჟუაშვილმა** განაცხადა, ჩატარდა მიწათმოწყობა. კოლმეურნეობის მიწები 2-3 მასივად მოეწყო. რაიონში სექტემბრის ბოლომდე სახელმწიფო აქტებს 15 კოლმეურნეობას ჩააბარებენ.

ვანის რაიონის 57 კოლმეურნეობიდან რეგისტრირებულია 45 კოლმეურნეობის წესდება, აქედან, — რაიაღმასკომის თავმჯდომარის განცხადებით, — უკვე მზად არის 9 კოლმეურნეობა, რომლებსაც აქტები პირველ ოქტომბრამდე ჩაბარდებათ.

რაიონებში ეწყობოდა აღმასკომის პრეზიდიუმის გასვლა სოფლებში კოლმეურნეობათა გეგმა-პროექტების ადგილობრივ განსახილველად და დასამტკიცებლად.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა **სიღნაღის** რაიონშიც. აქ 33 კოლმეურნეობაში მოაწყეს მიწები, გეგმა-პროექტები დამტკიცებულია. ამ თვის ბოლომდე სახელმწიფო აქტები ჩაბარდება 11 კოლმეურნეობას, ხოლო ოქტომბერში 40-ს.

ქუთაისის რაიონში კი მიწათმომწყობები თავის დროზე ვერ გამოიყენეს. ამ რაიონის მიწგანის გამგემ ამხ. **პაქსაშვილმა** თათბირზე განაცხადა, რომ მათ 12 კოლმეურნეობაში ჩაატარეს მიწათმოწყობა. აქედან რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა მხოლოდ 3 კოლმეურნეობის გეგმა-პროექტი დაამტკიცა.

მიწათმოწყობა ცუდად ტარდება აგრეთვე **აბაშის რაიონში**. აქ სექტემბერში მხოლოდ 2 კოლმეურნეობას ჩააბარებენ მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტებს.

ზუგდიდის რაიონში მხოლოდ 6 კოლმეურნეობისათვის მოუწყვიათ მიწები. აქედან რაიაღმასკომის პრეზიდიუმს 23 სექტემბრამდე არცერთი კოლმეურნეობის გეგმა-პროექტი არ ჰქონდა დამტკიცებული.

კოლმეურნეობათა მიწების მოწყობისადმი უსულგულო დამოკიდებულება იჩინეს **სამტრედიის** რაიონშიც. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **გეგიამ** და მიწგანის გამგემ ამხ. **ხვიჩიამ** არ ინებეს თათბირზე გამოცხადება. მათ მხოლოდ მიწათმომწყობთა ბრიგადის ხელმძღვანელი გამოგზავნეს, რომელმაც განაცხადა — მოუმზადებლობის გამო სექტემბერში სამტრედიის რაიონის ვერცერთი კოლმეურნეობა ვერ მიიღებს სახელმწიფო აქტსო.

მიწათმოწყობის ხარჯებისათვის კოლმეურნეობებიდან შეგროვილ 1.500 მანეთიდან სამტრედიის რაიმიწგანს 1000 მანეთი სხვა დანიშნულებაზე მოუხმარია.

თათბირზე რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა წამოაყენეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა პრაქტიკულად გადაჭრა დამატებით მითითებებს მოითხოვს.

ამხ. კეკელიამ და ამხ. მათიკაშვილმა ყველა წამოჭრილ საკითხზე ამხანაგებს გარკვეული განმარტება მისცეს.

დასასრულ ამხ. შ. მათიკაშვილმა შეაჯამა თათბირის მუშაობა და ადგილობრივ მუშაკებს მისცა კონკრეტული მითითებანი მიწათმოწყობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ამასთანავე განმარტა სახელმწიფო აქტების შევსებისა და კოლმეურნეობებისათვის ჩაბარების წესები.

★

თათბირის დამთავრების შემდეგ, 23 სექტემბერს ღამით, ამხ. მათიკაშვილმა შეუვსებელი აქტების საჭირო რაოდენობა, ქაღალდებში შეფუთული, გადასცა რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს.

24 სექტემბერს რაიმიწგანის გამგეები და მიწათმომწყობთა ბრიგადების ხელმძღვანელები, რომლებიც თათბირს ესწრებოდნენ, მიწსახკომის ტერიტორიული ორგანიზაციის განყოფილებაში დაწვრილებით გაეცნენ სახელმწიფო აქტების შევსებისა და გადაცემის წესებს.

საქართველოში, მარტვილის რაიონის გამოკლებით, სექტემბრის დამლევამდე მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტები ჩაბარდება 99 კოლმეურნეობას, ხოლო ოქტომბერში — 310-ს.

კომუნიზმის პროპაგანდისტები

თანამედროვე საზოგადოებაში შეიძლება იყოს მხოლოდ ორი იდეოლოგია: ბურჟუაზიული ან სოციალისტური. საშუალო რამ არ არსებობს, ვინაიდან კლასობრივ საზოგადოებაში რაიმე გარე-კლასობრივი ან ზეკლასობრივი იდეოლოგია წარმოუდგენელია.

კომუნისტური მსოფლმხედველობა გახდა ერთერთი უდიდესი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დოქტრინად, იმ ქვეყნისა, სადაც, კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან განსხვავებით, ხდება საწარმოო ძალთა სწრაფი აღმავლობა, სისხლჭარბად სცემს ეკონომიური ცხოვრების მაჯა.

და ეს მიღწეულია სწორედ იმის მეოხებით, რომ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება გახდა იმ გიგანტური მშენებლობის ძირითად წარმმართავ ძალად, რომელიც გაჩაღებულია ჩვენი დიდი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებზე.

მიღწეულია სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვება საბჭოთა კავშირში. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა დამტკიცებულია საქმით. დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყნის მეგობართა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. კომუნიზმის დროშა ყოველდღე იზიდავს თავისკენ მომხრეთა და მებრძოლთა ახალ მძლავრ რაზმებს.

ბურჟუაზიული იდეოლოგია თავის პოზიციებს ჰკარგავს. ფაშიზმი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ეს ყველაზე რეაქციული და გაშიშვლებული ფორმა, საზოგადოებას უკან ეწევა, საშუალო საუკუნეთა შავბნელ დროებისაკენ, ბნელეთის მოციქულობისა და კაცთმოძულეობისაკენ. სოციალიზმი — ეს არის მთელი კაცობრიობის ხვალინდელი დღე, აღსავსე მზით, ბედნიერებით, სიხარულითა და ფართო პერსპექტივებით.

სსრ კავშირის ხალხთა რევოლუციური ენერგიის ნაკადები ბოლშევიკთა პარტიის მიერ წარმართულია უკლასო საზოგადოების შექმნის მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაჭრისაკენ. დიადი და საპატიო კომუნისტის მოვალეობა — შეიტანოს კომუნისტური მსოფლმხედველობის თესლი მილიონებში, მზრუნველობით გაზარდოს მისი ყლორტები, ჩამოაყალიბოს ახალი ადამიანის შეგნება. ამ ამოცანის დაკნინება გზას უკაფავს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, ვინაიდან ეკონომიკაში და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაციას ჩვენთან ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, ოპორტუნიზმის წყაროები ჯერ კიდევ დარჩენილია. მტრული, გადამწყვეტ ბრძოლებში განადგურებული ძალების ნაშთები ჯერ კიდევ არსებობენ და ცდილობენ თავისი იდეოლოგიის შხამით მოსწამლონ მშრომელთა ყველაზე ნაკლებად მტკიცე ელემენტები. აქედან გასაგებია, თუ რატომ ასე დაუღალავად მიგვითითებს პარტია სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებებზე და მოითხოვს ამ მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

და ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის იმაზე უკეთესი არაფერია, რომ მივმართოთ ბოლშევიზმის სახელოვან ტრადიციებს, ჩვენი პარტიის მიერ სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოპოვებულ უმდიდრეს მრავალფეროვან გამოცდილებას.

ამასთან ფრიად მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, თუ რა გესლიანად ამათრახებდა ლენინი რაბოჩედელცებს, რომელნიც ქედს იხრიდნენ სტიქიურობის წინაშე, რომელთაც არ ესმოდათ შეგნებულობის მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში და ამით ხელს იღებდნენ სოციალიზმზე. ამის საწინააღმდეგოდ, ბოლშევიკები აწყობდნენ ფართო პოლიტიკურ აგიტაციას, მედგარ პროპაგანდისტულ მუშაობას მუშათა კლასში მარქსიზმის იდეათა გასავრცელებლად. მაღალი პრინციპულობა, დაჯერების ძალის ოსტატურად გამოყენება, მასებისათვის კომუნისტური სიტყვის მომხიბლავად, ცოცხლად და მკაფიოდ მიწოდების უნარი — აი რა ახასიათებდა ყოველთვის ბოლშევიკურ აგიტატორთა, პროპაგანდისტთა, ორგანიზატორთა კადრებს.

ახლანდელმა პროპაგანდისტებმა უნდა ისწავლონ და ისწავლონ ეს ბოლშევიკური ტრადიციები. ისწავლონ პროპაგანდისა და აგიტაციის ხელოვნება პირველ ყოვლისა მუშათა კლასის დიდი მასწავლებლებისა და ბელადებისაგან — ლენინისა და სტალინისაგან.

წარსულის რა მკაფიო ფურცლებს აცოცხლებენ გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მოგონებანი ამიერ-კავკასიის ძველი მუშებისა ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობის შესახებ ჩვენი პარტიის ორგანიზაციის გარიჟრაჟზე!

ჯერ კიდევ 35 წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა, როცა იგი იყო ჩვენი ერთერთი უძველესი ორგანიზაციის — ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, — გვიჩვენა კომუნიზმის პროპაგანდისტის დაუვიწყარი ნიმუში. მას უკვე მაშინ ჰქონდა მოხვეჭილი ძლიერი ორატორის სახელი, შესწევდა უნარი ოსტატურად ემოქმედნა დაჯერების ძალით და თავისი უდიდესი ერუდიციით.

შეხედეთ, როგორ შეეძლო მას შეერთებინა პროპაგანდა რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკასთან, რა მოხდენილად აშენებდა იგი თავის აგიტაციას, მოწინავე მუშებს რომ აიარაღებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენმა პროპაგანდისტებმა ეს მტკიცედ უნდა დაიხსომონ და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღონ ყოველგვარ სქოლასტიკას, ასწავლონ ისე, რომ მსმენელი იდეურად ყოველთვის შეიარაღებული იყოს, კარგად იყოს მომზადებული პარტიის პოლიტიკისა და მიმდინარე მომენტის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

ამხანაგი სტალინი იყენებდა ყოველგვარ შემთხვევას, რომ მუშებისათვის მიეწოდებია ბოლშევიკური ბროშურები, ფურცლები, წაეკითხა მუშებისათვის, განემარტა მათთვის პარტიული ლიტერატურა. რა დაშორებულია ეს ზოგიერთი, იმ, უკაცრავათ პასუხია, კომუნისტის პრაქტიკას, რომელნიც დაიარებიან პოლიტწრეში, რათა მოიხადონ მორიგი „დატვირთვა“, ხოლო ცოცხალ სინამდვილეში ობივატელის სახე აქვთ. რა უბადრუკი ჩანან ის „პროპაგანდისტები“, რომელნიც თავისი მოწაფური მიდგომით, სქოლასტიკით, ლიტონი გაზეპირებული ფორმულებით ხალისს გვიკარგავენ მოვისმინოთ სოციალიზმისათვის ბოლშევიკების ბრძოლის სახელოვანი წარმტაცი ფურცლები.

აი რას ამბობს ამხანაგ სტალინის 1900 წლის წრის ერთერთი მონაწილე ამხ. ხურცილავა:

„მას, ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია ამხანაგ სტალინს, არასოდეს არ დაავიწყდება მისი თავდაბლობა, სიბრძნე, მოვლენებში სწრაფად გარკვევისა და სწორ, მკაფიო მითითებათა მიცემის უნარი, არ დაავიწყდება მისი გამჭრიახობა, უნარი — აღეზარდა ადამიანში მთელი სიცოცხლის მანძილზე მუშათა კლასის საქმის თავგამოდებული ერთგულება, შეურიგებლობა რევოლუციის ყველა მტრის მიმართ“.

აი როგორი უნდა იყოს ჩვენი პროპაგანდისტის იდეალი!

აი რას უნდა ესწრაფოდნენ ისინი!

ილაპარაკონ ისე გასაგებად და წარმტაცად, რომ ყოველი მსმენელი გამოიბრძმედოს მთელი თავისი სიცოცხლისათვის, ასწავლონ ისე, რომ ყოველი მსმენელი მოუთმენლად ელოდეს შემთხვევას — საქმით გაანაღდოს მიღებული იდეები. ყოველი მათი სიტყვა, ყოველი პასუხი იყოს მკაფიო, ცხადი, რომ მსმენელს შეუქმნან ნამდვილად ნათელი წარმოდგენა მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებაზე, ჩვენი პარტიის უმდიდრეს რევოლუციურ გამოცდილებაზე.

ბოლშევიზმის იდეოლოგიის პროპაგანდა იოლი ამოცანა როდია, იგი მოითხოვს დიდ ცოდნას, კარგ ჩვევებს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქმის სიყვარულს. პროპაგანდისტთა წინდაუხედავად შერჩევა, დათმობანი მცირესტაჟიანობის გამო, ლიბერალური დამოკიდებულება მოწაფურ მიდგომასთან ყოველნაირი დაგმობის ღირსია.

შეუპოვრად უნდა ვზარდოთ მტკიცე და ნიჭიერ პროპაგანდისტთა კადრები, დავახელოვნოთ ისინი ამ საქმეში და მზრუნველობით და სიყვარულით მოვეპყრათ მათ.

დაუდევრობა იდეური აღზრდისადმი, თეორიისადმი დამოკიდებულებაში ყოველთვის უცხო იყო ბოლშევიზმისათვის. ეს დაუდევრობა ფრიად დამახასიათებელია მერყევი კომუნისტებისათვის. ისინი კი არ ფლობენ მოვლენებს თავის შეგნებულ მოქმედებაში, არამედ მოვლენები ფლობენ, იმორჩილებენ მათ. მათ არ გააჩნიათ ნათელი პერსპექტივა. ისინი ადვილად შორდებიან სწორ გზას. და მხოლოდ თეორია, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, აძლევს პრაქტიკულ მუშაკებს „ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, მუშაობის რწმენას, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას“. (სტალინი)

პროპაგანდისტებო და აგიტატორებო! ისწავლეთ ლენინისა და სტალინისაგან აგიტაციისა და პროპაგანდის ხელოვნება! იყავით ბოლშევიზმის დიადი ტრადიციების ღირსეული მატარებელნი ჩვენი სახელოვანი პარტიის ღირსეული შვილები.

„პრავდის“ მოწინავე, 24/IX.

□ □ □

აფხაზეთმა შეასრულა თამბაქოს აღების გეგმა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — ამხ. **სტალინს, კაგანოვიჩს.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭო — ამხ. **მოლოტოვს.**

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — ამხ. **ბერიას**

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო — ამხ. **მუსაბეკოვს**

საქ. სახკომსაბჭო — ამხ. **მგალობლიშვილს**

სოხუმი, 23 სექტემბერი. საკ. კ.პ. (ბ) ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და დიდი სტალინის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლით, მიუხედავად ხანგრძლივი გვალვიანი პერიოდისა აფხაზეთის მშრომელთა სწორად ორგანიზებული მუშაობით, 20 სექტემბერს შევასრულეთ თამბაქოს აღების გეგმა — 73.047.655 ზონარმეტრი ანუ გეგმის 100,1 პროც. აღება გრძელდება. გავშალეთ მოსამზადებელი მუშაობა დამზადების დარგში.

აფხაზეთის ს/ს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე **ლაკობა**

საქ. კ.პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ლადარია.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

პარტიული მშენებლობა

ავამაღლოთ პარტიული მუშაობის ხარისხი, მოვაწესრიგოთ „პარტიული მეურნეობა“

უკეთ შეისწავლეს თვითეული კომუნისტი

(ასპინძის რაიონი)

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომმა დაამთავრა პარტიული დოკუმენტების შემოწმება. შემოწმებაზე გამოცხადდა ყველა კომუნისტი, გარდა ორი წევრისა და ერთი კანდიდატისა (მათგან ორი ავადმყოფობის გამო, ხოლო ერთი ჯარშია). შემოწმების შედეგად გაირიცხა პარტიის რიგებიდან 24 კომუნისტი, რაც ორგანიზაციის 12,6 პროც. შეადგენს.

ვინ იყვნენ ისინი? კულაკი ყოფილი თეთრგვარდიელი, სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული, პარტიული დისციპლინის დამრღვევნი, გადაგვარებული ელემენტები, რომლებიც მოტყუების გზით შეძვრნენ პარტიაში და ეწეოდნენ დამრღვევ მუშაობას.

მაგ. რიზა რაფათ-ოღლი გაირიცხა პარტიიდან იმისათვის, რომ მტკიცე კავშირი ჰქონდა კულაკებთან და ხმაჩამორთმეულ პირებთან. მან დაფარა თავისი წარსული, რომ მუშაობდა პოლიციაში და შემდეგ 1920 წელს ბაქოში მუსავატელებთან. ავრცელებდა ყალბ და პროვოკაციულ ხმებს.

გაფლანგვისათვის გაირიცხნენ: ზ. რევაზოვი, თამალ ოსმალ-ოღლი, ადამ ალი-ოღლი და სხვ. გამომჟღავნებული იქნა და გაირიცხა პარტიიდან პარტკანდიდატი ლაზარე დიასამიძე, რომელიც მენშევიკურ მთავრობის დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ხულოს გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში (აჭარისტანი) დიასამიძემ ყველაფერი ეს დაუმალა პარტიას და გამომჟღავნებულ იქნა მხოლოდ პარტდოკუმენტების შემოწმების დროს.

პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ ასპინძის რაიონის პარტორგანიზაციაში საგრძნობლად გაამხნევა ბოლშევიკური სიფხიზლე, მოწესრიგდა „პარტიული მეურნეობა“ და გაიზარდა კომუნისტთა პასუხისმგებლობა. ახლა ადგილი აღარა აქვს წარსულის მსგავსად უპასუხისმგებლო და დაუდევარ მოპყრობას პარტიულ დოკუმენტებისადმი. გაწეული მუშაობის შედეგად უფრო უკეთ იქნა შესწავლილი თვითეული კომუნისტი და ახალი კადრები. ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე უკვე წამოყენებულ იქნა 7 კაცი. გარდა ამისა აქტიურ კომუნისტების რიცხვიდან შექმნილია დასაწინაურებელი კომუნისტების კადრი 10 კაცის რაოდენობით. ისინი ჩარიცხული არიან რეზერვში და მუშაობის პროცესში წამოყენებულ იქნებიან შესაფერის სამუშაოზე.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში **ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას პარტიული კრებებისათვის მომზადება და მასში კომუნისტების აქტიური მონაწილეობა.** ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

გ. კირთაძე.

გამოცოცხლდა პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა

(ყაზბეგის რაიონი).

ყაზბეგის რაიონში პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ ცხადჰყო, რომ „პარტიული მეურნეობა“ მოუწესრიგებელი იყო, ხოლო ზოგიერთ პარტორგანიზაციაში უცხო და მიტმასნილი ელემენტები შეპარულიყვნენ. შემოწმების შედეგად პარტიის რიგებიდან გაირიცხა 26 კაცი, ე. ი. მთლიანად პარტორგანიზაციის 19,7 პროც. (ალ. კირიკაშვილი, გრ. გაბიცინაშვილი, ქ. თამასხანოვი, ან. ბურდული, დ. ცხოვრებოვი, ან. კუსაევი და სხვ.).

მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტები უკანასკნელ დრომდე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. გამოირკვა, რომ ყაზბეგის რაიკომის საალრიცხვო დარგში, მთელი წლების განმავლობაში მუშაობდნენ უცხო და ბოროტმოქმედი პირნი— მურალოვი და მედოევი. მათ ისარგებლეს თავიანთი მდგომარეობით, და პარტიული მანდატები ასეთ პირებზე გასცეს, ვისაც პარტიასთან საერთო არა ჰქონდა რა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დახურული წერილის დამუშავების და განხორციელების შედეგად, რაიკომმა შესძლო გაეწმინდა პარტორგანიზაცია უცხო ელემენტებისაგან. გაძლიერდა კომუნისტების სიფხიზლე, გამოცოცხლდა პარტიულ - აღმზრდელობითი მუშაობა. 4 პარტორგანიზატორი და ერთი პარტკომის მდივანი ახალი მუშაკებით შეიცვალა. გარდა ამისა, შექმნილია ახალი პარტიული კადრების რეზერვი — 12 კაცი. განმტკიცდა პარტიული დისციპლინა და გაძლიერდა ინტერესი იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლებისადმი, კერძოდ პარტისტორიის შესწავლისადმი.

ამოცანა ახლა ის არის, რომ რაიკომმა მუშაობა გააჩაღოს სარეზერვო პარტკადრებთან, მოაწყოს მათთვის სპეციალური სემინარი და პრაქტიკულად ჩააბას ისინი აქტიურ პარტიულ მუშაობაში.

თანამგრძნობთა შორის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. საჭიროა რაიკომმა ახლავე გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები მათთან მუშაობის გაძლიერებლად. კერძოდ აუცილებელია გადისინჯოს ყველა თანამგრძნობი და მათ რიგებში მიღებულ იქნან დამკვრელი კოლმეურნენი, რომლებიც ახლო დგანან პარტიასთან.

პარტრაიკომმა უნდა განამტკიცოს მოპოებული მიღწევები, ამასთანავე აუცილებლად ფართოდ გაშალოს და გადაჭრით გააუმჯობესოს პარტმუშაობა. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ კრებების მომზადებას და ორგანიზებულად ჩატარებას, კომუნისტთა შორის პარტდავალებათა განაწილებას და პარტსწავლების ხარისხის ამაღლებას, კერძოდ თვითეულმა კომუნისტმა, თანამგრძნობმა და კომკავშირელმა უფრო ღრმად და საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ამხ. ბერიას მოხსენება ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის.

ვ. ზანდარელი.

ავამაღლოთ კომუნისტთა მომზადების დონე

(ჩხარის რაიონი).

პარტდოკუმენტების შემოწმების შედეგად ჩხარის რაიონის პარტორგანიზაციაში აღმოჩნდა, რომ „პარტიული მეურნეობა“ არევ-დარეული იყო, ხოლო პარტიაში მიღების დროს ხდებოდა დამახინჯებანი, ირღვეოდა წესდება. თვით ის ფაქტი, რომ რაიკომში მომუშავე აღმრიცხველი **გ. აბესაძე** და საქმეთა მმართველი **ნემსიწვერიძე** თვითნებურად აძლევდნენ პარტიულ ბილეთებს ისეთ პირებს, რომელთაც ბოლშევიკურ პარტიასთან საერთო არაფერი ჰქონდათ, მოწმობს ჩვენს „პარტიულ სახლში“ არსებულ უწესრიგობას ამ რაიონში.

რაიკომმა პარტდოკუმენტების შემოწმების პროცესში შესძლო ზემოხსენებულ პირთა ბოროტმოქმედების მხილება და კლასობრივად უცხო, ბოროტმოქმედ პირთა და მოტყუების გზით პარტიაში შემძვრალი ელემენტების გაძევება პარტიიდან. პარტიის რიგებიდან გაირიცხა 21 პარტწევრ - კანდიდატი, მთელი ორგანიზაციის 10.9 პროც. (გ. თურქაძე, ე. ჭანტურიძე, გრ. ბერუაშვილი, კ. მარუაშვილი, თ. ასხურავა, ს. მაჩიტაძე, მ. სიმონგულოვი, ალ. ფოცხვერაშვილი და სხვ.).

პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგად უფრო განმტკიცდა პარტიული დისციპლინა, გაუმჯობესდა პარტიულ - ორგანიზაციული და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა, პარტიის წევრთა შორის გაიზარდა ინტერესი პარტიული ცხოვრებისადმი. მაგრამ ყოველივე ეს როდი კმარა. ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა ვერ არის აყვანილი გაზრდილი მოთხოვნილების დონემდე. რაიკომის მუშაობის სუსტ მხარეს წარმოადგენს თვითეულ კომუნისტთან არასაკმაო მუშაობა, აგრეთვე ის, რომ პარტიული კრებები და პოლიტსწავლება ზოგიერთ ადგილებში მოუმზადებლად ტარდება. მუშაობის ამ სფეროს ახლა სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

პოლიტიკური დონის ამაღლების და პარტიული მუშაობის ტექნიკის საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით, საჭიროა მოეწყოს პირველადი პარტორგანიზაციების ორგანიზატორთა კურს - სემინარები, რომელსაც გაივლის ყველა ორგანიზატორი წარმოებიდან მოუწყვეტლად.

რაიონის ზოგიერთ ადგილში არადამაკმაყოფილებლად სწავლობენ ამხ. ბერიას მოხსენებას „ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რაიკომი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ერთეულ კომუნისტებს და თანამგრძნობებს, კომუნისტებს შორის დავალებათა განაწილება და დადგენილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია.

რევოლუციურ - პარტიული სიფხიზლის შემდგომ გამახვილებასთან ერთად ჩხარის რაიპარტორგანიზაციამ ყველა კომუნისტი უნდა დარაზმოს გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და პარტმუშაობის გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

ვ. ხა—ლი.

გაიზარდა კომუნისტების პასუხისმგებლობა

(ხარაგოულის რაიონი)

რაიონის პარტორგანიზაციებში, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 13 მაისის დახურული წერილის დამუშავების შემდეგ, საგრძნობლად გაძლიერდა კომუნისტების მზრუნველობითი დამოკიდებულება პარტიული დოკუმენტებისადმი და მოწესრიგდა „პარტიული მეურნეობა“.

რაიონში პარტდოკუმენტების შემოწმება ძირითადად დამთავრდა.

პარტდოკუმენტების შემოწმების დროს გამოირკვა, რომ კომუნისტები **მიხა ბაზლაძე, ზაქარია კურტანიძე, მიშა ბუაჩიძე და ამბერკი ხარატიშვილი** ცუდად უვლიდნენ თავიანთ პარტბილეთებს. მოლითის პირველადს ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში, სადაც 11 პარტწევრ-კანდიდატი ირიცხება, პარტბილეთი დაკარგა 4 კომუნისტმა. ამ ორგანიზაციაში პარტბილეთი დაკარგა თვით პარტორგანიზატორმა **გრიშა ლაცაბიძემ**, პარტწევრებმა **გიორგი იორდანესძე ბარბაქაძემ, ალექსანდრე ვასილისძე ქამუშაძემ და ანასტასია ცუცქირიძემ.**

პარტდოკუმენტების შემოწმებამ გამოამჟღავნა პარტიაში შემოპარული ყოფილი გვარდიელები: გიორგი მესხი — პარტიის წევრი 1932 წ., სანდრო მესხი — პარტწევრი 1926 წლიდან, პლ. ციცქიშვილი — პარტიის წევრი 1926 წ., გაიოზ ქამუშაძე — პარტიის წევრი 1927 წ. და პარტ. კანდიდატი იაკინთე გველესიანი. მათ ჩამოერთვათ პარტბილეთები.

გამოაშკარავდა აგრეთვე, რომ პარტიის წევრი ვანო ერმალოზისძე შარიქაძე მონაწილეობას იღებდა 1924 წ. მენშევიკურ ავანტიურაში და აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ჭიათურაში, ხოლო პარტიის კანდიდატი ვასიკო ლომიძე ყოფილი სპეკულანტია. მათ ჩამოერთვა პარტიული ბილეთები.

კომუნისტები: ვასილ კვინიკაძე, არიადნა დეკანოსიძე, ანდრო გოგოლაძე, იასონ გრიგალაშვილი, იორამ ბარბაქაძე და თამარა სახვაძე პარტორგანიზაციის მუშაობაში არ ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას, არ ასრულებდნენ პარტორგანიზაციის დავალებებს, არ ესწრებოდნენ პარტორგანიზაციის კრებებს და სხვ. ყოველივე ამის გამო მათ პარტბილეთები ჩამოერთვათ და პარტიიდან გაირიცხნენ.

პარტდოკუმენტების შემოწმებამ ამასთან ერთად გამოამჟღავნა, რომ კომუნისტები: გიორგი და ვარდენ გოგოლაძეები, კლიმენტი სახვაძე და ანდრო ტაბატაძე ცუდად მუშაობდნენ თავიანთი იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მათ ამის გამო მიეცათ გაფრთხილება.

მუშაობის პროცესში სერიოზული ყურადღება მიექცა პარტკადრების რეზერვის საკითხს. მაგ., კომუნისტები: ბიქტორ დევდარიანი და მინაგო კიკნაძე წამოყენებულ იქნენ რაიკომის ფასიან პროპაგანდისტებად, ხოლო რამდენიმე სხვა აღრიცხვაზე იქნა აყვანილი მათთან შემდეგში სისტემატური მუშაობის საწარმოებლად.

რაიონის მთელ პარტიულ ორგანიზაციაში გაცხოველებით სწავლობენ ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენებას „ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. გაიზარდა კომუნისტების პასუხისმგებლობა და კლასობრივი სიფხიზლე, გამოცოცხლდა პარტმასობრივი მუშაობა.

დ. გაბრიაძე.

კახპოს რაიკომის პარტკაბინეტის გამგე ამხ. დოლიძე ესაუბრება მსმენელებს იტალია - აბისინიის კონფლიქტის შესახებ

პრესის მიმოხილვა

„პარტიული მეურნეობა“ დაივიწყეს!

„დამკვრელი“—ხონი, „კოლმეურნის ხმა“—თელავი, „კოლექტიური შეტევა“—ბაღდათი

„პარტიული მეურნეობის“ მოწესრიგება, პარტიული დოკუმენტების შემოწმება დასასრულს უახლოვდება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რაიონულ კომიტეტებმა, პარტიის უმაღლეს ორგანოების მითითების საფუძველზე, გულმოდგინეთ მოჰკიდეს ხელი, „პარტიულ ოჯახში“ წესრიგის დამყარებას. მთელ რიგ რაიონებში პარტიულ დოკუმენტების შემოწმება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს შეტევით კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერების ნიშნით. პარტიულ დოკუმენტების გულდასმითმა შემოწმებამ გამოამჟღავნა, რომ ზოგან ლენინ-სტალინის პარტიაში მოტყუებით შემძვრალან კლასობრივად ჩვენთვის უცხო მიტმასნილი ელემენტები. შემოწმებისას ნიღაბი ჩამოეხადა კულაკებს, აფერისტებს, რომლებმაც ათას გვარი მახინაციებით მოახერხეს პარტიული ბილეთების ხელში ჩაგდება.

შემოწმების წინასწარი შედეგი ნათელ ყოფენ იმ გარემოებას, რომ ადგილებზე გაუმჯობესდა პარტიულ-ორგანიზაციულ და მასიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. განმტკიცდა პარტიული დისციპლინა, გაიზარდა ბრძოლა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკურ დონის ამაღლებისათვის; უკეთ ტარდება პარტიული კრებები, წესრიგში მოყვანილ იქნა პარტიულ ბილეთების და პარტიული დოკუმენტების შენახვისა და მოვლის საქმე. გაიზარდა კომუნისტების პასუხისმგებლობა და სხვ.

საქ. კ.პ. (ბ) ცკას მითითებათა საფუძველზე ჩვენს „პარტიულ სახლში“ მყარდება საჭირო წესრიგი.

როგორ გამოეხმაურნენ ადგილობრივი სარაიონო გაზეთები „პარტიულ სახლში“ მუშთ წესრიგის დასამყარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი სარაიონო გაზეთებმა დაივიწყეს, რომ პარტიული მეურნეობის სანიმუშო წესრიგში მოყვანა და პარტიულ დოკუმენტების შემოწმება „ამჟამად ეს არის პარტიული აპარატის, მისი ხელმძღვანელობის და ყველა კომუნისტის ყველაზე უფრო პირველ რიგის ამოცანა“ („პრავდა“).

საილუსტრაციოდ ავიღოთ ზემოხსენებული სამი გაზეთი.

ხონის რაიონულმა კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა პარტიულ დოკუმენტების შემოწმების და „პარტიულ სახლში“ სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად. აუჩქარებელი, მოფიქრებული და გულდასმითი მუშაობის შედეგად ხონის რაიონულმა კომიტეტმა ნიღაბი ჩამოახადა და გამოაამშკარავა პარტიისათვის უცხო და მიტმასნილი ელემენტები: ყოფილი გვარდიელები: (ქაცარავა, სალარეიშვილი, ბახტაძე და სხვ.), ყოფ. პოლიციელები (ჩაკვეტაძე), ყოფ. ტროცკისტები და ფარული ტროცკისტები, (ხობუა, ბახტაძე, ხუროძე, კორძაძე და სხვ.), რომლებმაც პარტიას დაუმალეს და ყველაფერი არ უთხრეს თავიანთი კონტრრევოლუციური და აქტიური მუშაობის შესახებ ტროცკისტულ ოპოზიციაში. გამომჟღავნებულ იქნა სხვა პარტიებიდან გამოსულნი, რომლებიც პარტიის წესდების დარღვევით იქნენ მიღებული პარტიაში და პარტიისათვის ულირსი პირნი, რომლებმაც ვერ გაამართლეს პარტიის და ხელისუფლების ნდობა.

ამასთან ერთად შემოწმების პროცესში გამოვლინებულ იქნენ პარტიულ აქტივის ახალი კადრები, რომელნიც „დღემდე წყნარად და შეუმჩნევლად იჯდენ ადგილებზე“.

გადაფურცლეთ ხონის სარაიონო გაზეთი „დამკვრელი“-ს აგვისტოს და სექტემბრის ნომრები. ვერც ერთ შენიშვნას, ვერც ერთ წერილს ვერ ნახავთ პარტიულ დოკუმენტების შემოწმების მიმდინარეობის შესახებ.

გაზეთ „დამკვრელმა“ 25 ივლისის ნომერში მოათავსა მხოლოდ ერთი კორესპონდენცია—პარტიული კრებების ოქმების შედგენისა და მისი შენახვის შესახებ და ამით ამოწურულად ჩათვალა საკითხი.

გაზეთ „დამკვრელი“ საერთოდ არ არის ცუდი გაზეთი, ის სისტემატიურად აშუქებს მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხებს, პარტიულ სწავლებას, მაგრამ გაზეთმა უსათუოდ მავნე გულმავიწყობა და სრული დაუდევრობა გამოიჩინა ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეში, როგორც პარტიული დოკუმენტების შემოწმება იყო.

* * *

პარტიულ დოკუმენტების შემოწმების აშკარა შეუფასებლობა გამოიჩინა თელავის სარაიონო გაზეთმა „კოლმეურნის ხმამ“.

თელავის სარაიონო გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ ცოცხალი და ოპერატიული გაზეთია. ნომრიდან ნომერში გაზეთი ცოცხალი მაგალითებით ამახვილებს პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიების ჩატარების საქმეში. გაზეთი კარგად აშუქებს ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენებას—„ა.-კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ დამუშავებას პარტიულ განათლების ქსელში და სხვა.

მაგრამ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, „კოლმეურნის ხმა“-მ, სათანადოთ ვერ შეაფასა პარტიულ დოკუმენტების შემოწმების ჩატარების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, ვერ დაეხმარა რაიონულ კომიტეტს უცხო მიტმასნილ ელემენტების გამომჟღავნებაში და შემოწმების დროს ვერ გაშალა ბოლშევიკური კრიტიკა პარტიულ მეურნეობის მოსაწესრიგებლად.

„კოლმეურნის ხმა“-ს ყველაზე მეტი შესაძლებლობა ქონდა (გაზეთი სამდღიურია) სისტემატიურად გაეშუქებინა თელავის სარაიონო კომიტეტის მიერ ჩატარებული სერიოზული მუშაობა პარტიული დოკუმენტების შემოწმების საქმეში. ხონის სარაიონო გაზეთი „დამკვრელი“-ს განსხვავებით „კოლმეურნის ხმა“-მ აგვისტოს ნომერში (24 აგვისტო № 76) დაბეჭდა „პრავდას“ მეთაური „პარტიულ დოკუმენტების შემოწმება“. აგვისტოს და სექტემბრის სხვა ნომრებში არ მოუთავსებია არც ერთი შენიშვნა, არც ერთი წერილი „პარტიულ სახლში“ წესრიგის დამყარების შესახებ. „კოლმეურნის ხმა“-ს ეს მავნე გულმავიწყობა არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება.

* * *

შეტევითი სიფხიზლის ნიშნით მიმდინარეობს პარტიული დოკუმენტების შემოწმება ბაღდათის რაიონშიც. პარტიული დოკუმენტების შემოწმების პროცესში გამომჟღავნებული იქნენ კულაკები (თელია, ფარული ტროცკისტები (კაციტაძე), პოლიციელის შვილები (შაშუკი), და პარტიისათვის სხვა მიუღებელი ელემენტები. გარდა ამისა გამომჟღავნებული იქნა ისეთი კომუნისტები, რომელნიც უპასუხისმგებლოდ ექცეოდნენ პარტიულ ბილეთებს (წიკლაური, ჯაფარიძე, კაპურიძე) და სხვ.

ბაღდათის სარაიონო გაზეთმაც პარტიულ დოკუმენტების შემოწმების საქმეს გვერდი აუარა. ის დაკმაყოფილდა „პრავდას“ მეთაურის და ერთი კორესპონდენციის დაბეჭდვით. (24 ივლისი № 27).

„კოლექტიურ შეტევის“ ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის ნომრების გულდასმით გადასინჯვისას ვერ ვნახეთ ვერც ერთი მამხილებელი კორესპონდენცია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 24 ივლისის ნომერში მოთავსებულ შენიშვნას, პარტიულ ბილეთების მოვლის შესახებ.

ბაღდათის სარაიონო გაზეთიდან მეტი მოსალოდნელი არ იყო იმიტომ, რომ თვით სარაიონო გაზეთის პასუხისმგებელი მუშაკი თეოფილე თედია აღმოჩნდა კულაკი. 1931 წლის პარტიიდან გარიცხული თელია პარტიულ ბილეთს ატარებდა და ატყუილებდა პარტიას და პარტიულ ორგანიზაციას. აქედან აშკარაა, რომ ბაღდათის სარაიონო გაზეთი პარტიულ მანდატების შემოწმებას ვერ მისცემდა საჭირო პოლიტიკურ მნიშვნელობას.

გაზეთისათვის დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის ამბავი რომ თელიას კულაკური სახის გამომჟღავნების შემდეგაც არც ერთი სიტყვა არ დაუძრავს ამ საქმეზე.

* * *

პარტიულ დოკუმენტების შემოწმება დასასრულს უახლოვდება. შემოწმების შედეგებს ცალცალკე იხილავენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში და ღებულობენ ღონისძიებებს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომში გაძლიერებისათვის.

დასახელებულ და სხვა სარაიონო გაზეთებმა პარტიულ დოკუმენტების შემოწმების პროცესში მავნე გულმავიწყობა უნდა აღმოფხვრან და დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს „პარტიული მეურნეობის“ ბოლშევიკურად მოწესრიგების საქმეში. ესაა პირველხარისხოვანი ამოცანა ამჟამად.

გრ. შელია

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის რაიკომის მდივანი

გამოვავლინეთ ახალი კადრები

ტფილისის რაიონში პარტიული დოკუმენტების შემოწმება დასრულდა. შემოწმება გაიარა ყველა კომუნისტმა, და საერთო შემადგენლობიდან გაირიცხა 13 პროცენტამდე. რა გამოაშკარავა და რა მოგვცა შემოწმებამ?

შემოწმებამ გამოაშკარავა „პარტიული მეურნეობის“ სერიოზული ნაკლი, გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმის მოწესრიგებასთან. შემოწმების მიმდინარეობის პროცესში ჩვენ გამოვამჟღავნეთ პარტიის და ხელისუფლების შემოპარული მტრები, შენიღბული უცხო ელემენტები.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ პარტიის და ხელისუფლებისათვის კლასობრივად უცხო, მოწინააღმდეგე ელემენტები, რომელნიც არ არიან ღირსნი ატარონ პარტიის წევრობის უდიდესი სახელი.

მოვიყვანოთ რამოდენიმე დამახასიათებელი მაგალითი.

სანდრო თათარიშვილი, პარტიის კანდიდატი 1932 წლიდან (მცხეთის ტერიტორიული ორგანიზაციიდან) მენშევიკური გვარდიის თავდადებული მებრძოლი, აქტიური მონაწილე დუშეთის რევოლუციური გლეხობის აჯანყების ჩაქრობისა და პარტიზანთა დახვრეტისა. ზოგიერთი კომუნისტის და პირველადი პარტორგანიზაციების ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნების გამო, ის ახერხებს პარტიაში და კოლმეურნეობაში შეძრომას, რამდენიმე თვით კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაში მოხვედრას და საკოლმეურნეო ქონების განიავებას.

ეკატერინე ბონდარევა (სოღანლუღის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტი“) სამარის ოლქის მსხვილი კულაკი. განკულაკების შემდეგ გამოიქცა საქართველოში და თავი შეაფარა საბჭოთა მეურნეობას. დამახასიათებელია ის ფანდები, რომელსაც მიმართავენ კლასობრივად უცხო ელემენტები. ბონდარევამ საბუთებში დაფარა თავისი ნამდვილი გვარი და გამოცხადდა, როგორც გორდარეევა. საბჭოთა მეურნეობის ზოგიერთი კომუნისტის და პარტორგანიზაციის სიფხიზლის მოდუნების გამო, 1932 წელს იგი ახერხებს პარტიაში შესვლას. მეურნეობის დირექციის (ხითაროვი) ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნების გამო, მიუხედავად მიცემული სიგნალისა, ბონდარევა შემდეგშიაც დაშვებულ იქნა საიდუმლო საქმის წარმოებაზე.

გამოაშკარავებულ იქნა აგრეთვე ნიკოლოზ ერქემლიძე (ავჭალა), მენშევიკური პარტიის ყოფ. წევრი, მენშევიკური გვარდიის შტაბის წევრი, და მეთაური, რომელსაც პარტიის წმენდა არ გაუვლია 1929 წელს (კანდიდატია 1928 წლიდან).

მიხეილ ფანცულაია (კახიანის კოლმეურნეობა) ყოფილი ვაჭარია. **ალი ქერიმ ოღლი, აბაზოვი, ესებუა.** კულაკური საბოტაჟის ორგანიზატორები არიან სოღანლუღის კოლმეურნეობაში, პატიოსან მშრომელ კოლმეურნეთა მიმართ ტერორის მომწყობნი; გამოაშკარავების შემდეგ პასუხსაგებად წარდგნენ სათანადო ორგანოების წინაშე.

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც პარტბილეთი მოტყუებით ჩაიგდოთ ხელში, მიითვისეს სხვისი პარტმანდატები. ასეთები არიან: **გიორგი ბიქტორისძე ჩიხლაძე** (კოჯრის საკურორტო სამმართველო), რომელსაც მითვისებული ჰქონდა ამბერკი გიორგისძე ლომთათიძის პარტბილეთი, გაცემული ჩოხატაურის რაიკომის მიერ და გამოცხადებული გაუქმებულთა სიაში, როგორც გატაცებული. ჩიხლაძემ ქიმიური ხსნარით ამოშალა ლომთათიძის გვარი და პარტბილეთი გადააქცია თავის საკუთრებად, რის შემდეგ თავი მოჰქონდა პარტიის წევრად. ჩიხლაძე რამდენჯერმე გამოიწვიეს შემოწმებაზე, მაგრამ თავს არიდებდა ამას, რის შემდეგ შემოწმებული და გამომჟღავნებული იქნა ადგილზე. ასევე გამომჟღავნებულ იქნა მიხეილ შანიძე და სხვ.

მიტმასნილ ელემენტებს წარმოადგენს აგრეთვე გამფლანგველთა ჯგუფი, რომელიც პარტიის ნდობის, პარტიის წევრობით სარგებლობდა და კოოპერაციისა და სხვა სამუშაოზე სათავეში მოქცევა მოახერხა.

განსაკუთრებით დანაგვიანებული აღმოჩნდა ამ მხრივ მცხეთის ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაცია, სადაც სახელმწიფო კოოპერატიულ სახსრების გაფლანგვისათვის პასუხისგებაში მიცემულია ექვსი კაცი; ისინი გარიცხეს პარტიიდან (გიორგი მრევლიშვილი, არშაკ ხუბეროვი, აბდუშელაშვილი, თათარაშვილი და სხვ.).

გამოაშკარავებულ იქნენ ყოფილი ტროცკისტები, რომლებმაც დაუმალეს პარტიას თავიანთი კონტრრევოლუციური წარსული და ახლაც განაგრძობენ თაღლითობას (ვლადიმერ მესხი, დომენტი ალავიძე, მამულაშვილი და სხვ.). ჩვენ შევსძელით გამოგვემჟღავნებინა აგრეთვე ბოლშევიკური დისციპლინის დამრღვევნი, რომლებიც არ ასრულებდნენ პარტიულ დავალებებს, სიმულანტობდნენ, მოსწყდნენ პარტიულ ცხოვრებას და გადაგვარების გზას დაადგნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ივანე ბორისოვის (მცხეთის სახერხი ქარხანა) ამბავი, იგი პარტიის წევრადაა მიღებული ზუგდიდის რაიკომის მიერ 1932 წ. მოიხსნა ზუგდიდიდან 1932 წ. და აქამდე არგაუფორმებია გადმოსვლა. წამგლეჯაობის მიზნით 1932 წლიდან რამდენიმე თვეს დაჰყო ტფილისში, ბათომში, სამტრედიაში, ბოლოს იყო მცხეთაში და თავის „პარტიულობის“ ამბავი განაცხადა მხოლოდ შემოწმების დროს. პარტიის ამ „წევრს“ პარტიის გარეშე დაუყვია მთელ სამ წელს და რომ შემოწმება არა, შეიძლება არც კი დასჭირდებოდა პარტიის გახსენება ბევრ ხანს. ბორისოვი გავრიცხეთ პარტიიდან.

შემოწმების დროს აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც თავი დააძვრინეს 1929 წლის პარტიულ წმენდას და შეინარჩუნეს პარტმანდატები (მარიამ ნიკოლაიშვილი, ერქემლიძე და სხვ.).

პარტიულ დოკუმენტების შემოწმებამ საშუალება მოგვცა გავცნობოდით არა მარტო ყოველ კომუნისტს, არამედ დეტალურად ჩავწვდომოდით თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობასაც, მის დადებით მხარეებს, ნაკლს და სხვ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ თვითეულ კომუნისტში გამოიწვია უდიდესი მისწრაფება თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისაკენ. პირველადს პარტორგანიზაციებში ყველაზე უფრო შესამჩნევი და უდიდესი ნაყოფი შემოწმებისა ისაა, რომ პარტიულ მუშაობის ყურადღების ცენტრში დადგა ცოცხალი ადამიანი, ზრუნვა მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა, მისი გააქტივებისთვის. შემოწმების პროცესში მთელმა რიგმა პარტორგანიზაციებმა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს (ქსნის აგურ-კრამიტის, ძალისის კოლმეურნეობის, მცხეთის სახერხი ქარხნის, კახიანის სახელობის კოლმეურნეობის, მარქსის სახ. კოლმეურნეობის და სხვ.). სადაც საჭირო იყო, დავაარსეთ წ. კ. მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები, რომლებშიაც ჩავაბით მცირემცოდნე კომუნისტები.

ჩვენი ამოცანა ამჟამად — ესაა ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარებით უზრუნველვყოთ გაზრდილ მოთხოვნათა დაკმაყოფილება კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში. ახლა დაუყოვნებლივ უნდა მოვაწესრიგოთ პოლიტსკოლებისათვის კვალიფიციური პროპაგანდისტების გამოყოფა, რომელთა ნაკლებობას განვიცდით. საჭიროა უახლოეს დროს კომუნისტებს შორის წ. კ. მცირემცოდნეობის სრულიად მოსპობა და ზოგადი ცოდნის ამაღლება. ამისათვის განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ზოგადი განათლების სპეციალური ქსელი, ხოლო ზოგან კი არსებულ წ. კ. მცირემცოდნეთა სკოლებში ჩავაბათ ასეთი კომუნისტები.

პარტდოკუმენტების შემოწმების პროცესში ჩვენ გავეცანით არა მარტო თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას და თვითეულ კომუნისტს, არამედ **საშუალება მოგვეცა აგრეთვე გამოგვევლინებინა ახალი რეზერვები.** უკვე აღვრიცხეთ რეზერვი 45 კაცის შემადგენლობით (ერტელიშვილი, შახკულოვი, ბრივაძე, პაილიაშვილი და სხვ.), რომელთა გამოყენებას ჩვენ ვფიქრობთ უფრო პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზე.

ამასთან ერთად შევიმუშავეთ ღონისძიებანი ჩამორჩენილ პირველად პარტორგანიზაციებში ორგანიზაციულ-აღმზრდელობითი მუშაობის გამოსაცოცხლებლად. სერიოზული მუშაობაა გასაწევი ერთეულ კომუნისტებთან, რადგან მათთან მუშაობა ჯერჯერობით მაინც მოისუსტებს. პირველადი პარტორგანიზაციების წინაშე მკვეთრად ისმება აგრეთვე ძირეულ აგიტატორებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და მათი საშუალებით პოლიტინფორმაციის გაძლიერების ამოცანა აქტუალურ სამეურნეო პოლიტიკურ საკითხებზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ქარხნებში.

რაიონის პარტორგანიზაციაში ამჟამად მიმდინარეობს ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე. ამ საკითხის მუშაობისათვის ფართოდ გაცნობის მიზნით გაიმართა პოლიტდღე მცხეთის ხეტყის და ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნებში, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმისაკენ, რომ ძირეულად აღმოვფხვრათ შემოწმების დროს გამოვლინებული ნაკლი. მოპოვებული მიღწევები ჩვენ უნდა განვამტკიცოთ შემდეგში ყოველ დღიური მუშაობის უფრო გაძლიერებით, ახალი კადრების გამოზრდით და პარტმუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებით.

◆

შინაპარტიული მუშაობა გაუმჯობესდა

(ტყიბულის რაიონი)

პარტიული დოკუმენტების შემოწმება დამთავრდა. თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ გულდასმით განიხილა შემოწმების შედეგები. მოისპო ქაოსი პარტიული დოკუმენტების გაცემის და კომუნისტების აღრიცხვის საქმეში. „პარტიულ სახლში“ ბოლშევიკური წესრიგი დამყარდა.

პარტიული დოკუმენტების შემოწმება არ იყო საბუთების ტექნიკური შედარება. ეს იყო თვითეული კომუნისტის წარსულისა და აწმყოს, მისი მუშაობის, მისი პარტიაში შესვლის, მისი პოლიტიკურ მომზადების დონის შემოწმება და, ბოლოს, ეს იყო არა მარტო თვითეული კომუნისტის, არამედ თვითეულ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მაჩვენებლების საფუძვლიანი შემოწმება.

ტყიბულის პარტრაიკომში პარტიული დოკუმენტების შემოწმება ყველა პარტწევრ-კანდიდატმა გაიარა. პარტიის რიგებიდან გარიცხულ იქნა 64 კაცი. პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ გამოაამშკარავა ბოლშევიკების ყოფილი ჯალათის, ფაჩულია — კიდიას ბანდიტური რაზმის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1924 წლის ავანტიურის მონაწილე **ალექსანდრე გოგლიძე**, რომელიც მაღაროების ტრესტის სპეცგანყოფილების გამგის თანამდებობაზე მუშაობდა და აფარებდა თავს პარტბილეთს; ყოფილი აქტიური ტროცკისტი (ამჟამად რაიონის პროკურორი) **იასონ ყიფიანი**, რომელიც პარტიას უმალავდა თავისი წარსულს.

პარტიის რიგებიდან გაძევებულ იქნენ ყალთაბანდები, კულაკები, ტროცკისტები, აგრეთვე ისეთი ელემენტები, რომლებიც სრულებით ვერ ერკვეოდნენ მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში (მოწყვლაძე, ცირეკიძე, ქასრაშვილი და სხვ.).

შემოწმებაზე გამომჟღავნდა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის (მაღაროების ტრესტი და ორპირის ორგანიზაცია) კლასობრივი სიფხიზლის მოდუნება, შაღაროების სააღმშენებლო და სამთოსაშველი დარგის პარტორგანიზაციის სუსტი ზრუნვა კომუნისტების იდეური-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე და სხვ.

პარტიული დოკუმენტების შემოწმების შემდეგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში გაუმჯობესდა შინა-პარტიული მუშაობა, პარტიული კრებების მომზადება, პარტიული დოკუმენტებისადმი მოპყრობა. განსაკუთრებით გაძლიერდა თვითეული კომუნისტის და პარტორგანიზაციის ინტერესი პოლიტიკური სწავლებისადმი. პარტგანათლების ქსელში აღმოიფხვრა მსმენელთა დაუსწრებლობა. ტყიბულის ბოლშევიკები ღრმად და გულდასმით სწავლობენ ამხ. ლ. ბერიას მოხსენებას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა პარტრაიკომის ინსტრუქტორების მუშაობა. თუ რაიკომი ერთეულ კომუნისტებს აქამდის სუსტად ხელმძღვანელობდა, პარტდოკუმენტების შემოწმების შემდეგ ეს ხელმძღვანელობა გაუმჯობესდა. ახლა ხელმძღვანელობა და დახმარება უფრო კონკრეტულ-ოპერატიულია. პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ შინაპარტიულ მუშაობაში დიდი გარდატეხა მოახდინა.

შ. კაკულია

ლიტვის დანაწილების ფაშისტური გეგმა

ვენა, 23 სექტემბერი. ბაზელის „ნაციონალცეიტუნგი" სწერს: „იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც კლაიპედის სტატუტის გარანტები არიან, ყურადღება უნდა მიაქციონ ლიტვის მდგომარეობას, ვინაიდან იქიდან მოსულია შემაშფოთებელი ცნობები. კენიგსბერგიდან ბერლინს გამოვლილი ყველა მგზავრი ადასტურებს, რომ აღმოსავლეთი პრუსია სავსეა გერმანელი ჯარით და იქ აშკარა მზადებაა ომისათვის.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ყველგან დადის ხმები, რომ გერმანიასა და პოლონეთს შორის არსებობს შეთანხმება ლიტვის ნაწილობრივი გაყოფის შესახებ. ამ ხმების თანახმად, ჰიტლერი ჯერ კიდევ ნიურენბერგის ყრილობაზე აპირებდა განეცხადებინა ლიტვასთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა. მაგრამ ეს დააბრკოლა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. მაგრამ სამხედრო მრეწველობის მსხვილმა საწარმოებმა ბერლინში უკვე მიიღეს ოფიციალური ცირკულარები, რითაც მოითხოვენ იმ პირთა გვარებს, რომელნიც ომის შემთხვევაში აუცილებელნი იქნებიან მრეწველობის განსაგრძობად". (ადს).

□ □ □

საფრანგეთის ფაშისტური ორგანიზაციების დემონსტრაციები და პარადები

პარიზი, 23 სექტემბერი. გუშინ საფრანგეთის მთელ რიგ რაიონებში შედგა ფაშისტური ორგანიზაციების — „კრუა დე ფეს" და „ნაციონალურ მოხალისეთა" დემონსტრაციები და პარადები, რომლებიც მოწყობილი იყო „კრუა დე ფეს" ბელადის პოლკოვნიკ დე ლა-როკის ბრძანებით. ხელისუფლებას მათი მოწყობისათვის ხელი არ შეუშლია. ამ კრებებსა და დემონსტრაციებს ჰქონდა სამხედრო მობილიზაციის და სამოქალაქო ომის აშკარა მომზადების ხასიათი.

გუშინ საბოლოოდ დადასტურდა ხმები, რომლებიც საფრანგეთის პრესაში იყო გავრცელებული იმის შესახებ, რომ ფაშისტები ამზადებენ ამბოხებას. მარსელში ფაშისტურ დემონსტრანტების წინაშე გამოვიდა „კრუა დე ფეს" პროვანსის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვინმე არნუ, რომელმაც განაცხადა: „მე ჩვენი ბელადის, პოლკოვნიკ დე ლა-როკისაგან დავალებული მაქვს დავაზუსტო მისი განზრახვანი. ჩვენ მთელი ქვეყნის გასაგონად ვაცხადებთ, რომ არ დაუშვებთ ერთიანი ფრონტის — დალადიე-ფროს მთავრობის სახით ხელისუფლების სათავეში საფრანგეთის დასანგრევად და გასალატაკებლად. თუ უწესრიგობის მთავრობა მოისურვებს ძალა-უფლების დაპყრობას, ჩვენ მზად ვართ გამოვიყენოთ ძალა და ავიღოთ ძალა-უფლება".

ფაშისტთა გუშინდელი დემონსტრაციები და პარადები ფაშისტურ მოტორიზებულ ძალთა პარადები იყო. „ეკო დე პარის" გადმოცემით მარტო პარიზის რაიონში დემონსტრაციაზე მოვიდა დაახლოებით 16 ათასი ავტომობილი, რომლებიც ფაშისტური ორგანიზაციების წევრებს ეკუთვნის, ამათ რიცხვში არ შედის ის ავტომობილები, რომლებითაც პარიზის რაიონში მოვიდნენ ფაშისტები ხსვადასხვა დეპარტამენტებიდან.

„ლუმანიტეს" გამოანგარიშებით, პარიზის რაიონში ფაშისტთა დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა დაახლოებით 25 ათასი კაცი, რომლებმაც „მოისმინეს პოლკოვნიკ დე ლა-როკის მოწოდება სამოქალაქო ომისაკენ".

ამას გარდა, ფაშისტური დემონსტრაციები გაიმართა საფრანგეთის სხვა ადგილებშიაც — ლილში, მარსელში, ლიონში.

როგორც ფაშისტები აცხადებენ, პროვინციაში ფაშისტური კრებების მონაწილეთა საერთო რიცხვი 75 ათას კაცს აღწევდა.

კაენში მოხდა შეტაკება ფაშისტებსა და ადგილობრივ მუშებს შორის. არიან დაჭრილები (ადს).

□ □ □

საფრანგეთის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მოქმედების ერთიანი ფრონტი

პარიზი, 23 სექტემბერი. „ლუმანიტე" და „პოპულერი" აქვეყნებენ საერთო მოქმედების პლატფორმას, რომელიც მიღებულია საფრანგეთის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელი ორგანოების მიერ. პლატფორმა აღნიშნავს, რომ საჭიროა ბრძოლა „ძარცვისა და სილატაკის პოლიტიკის" წინააღმდეგ, მოსამსახურეთა ნორმალური ხელფასის და ჯამაგირის უზრუნველყოფის გზით, საგანგებო დეკრეტების გაუქმების გზით.

პლატფორმა მოითხოვს, რომ გლეხობისათვის უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღდგენითი ფასები.

მოითხოვს რა პურს უმუშევართათვის, პლატფორმა აყენებს მთელ რიგ კონკრეტულ ლოზუნგებს, როგორიცაა: მუშაობის საათების შემცირება, 40 საათიანი სამუშაო კვირის შემოღება ხელფასის შეუმცირებლად, ახალგაზრდობის სწავლების ვადის გაგრძელება, 60 წელზე მეტი ასაკის მუშების შეცვლა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნან ისინი საჭირო სახსრებით (სოციალური დაზღვევის კანონის გაუმჯობესებით), შრომაზე მოთხოვნილების გადიდება იმ ფართო საზოგადოებრივი სამუშაოების დახმარებით, რომლებიც უნდა აწარმოონ მდიდრების დაბეგვრისაგან მიღებული სახსრებით.

„უნდა დავიცვათ მშვიდობიანობა, — ნათქვამია პლატფორმაში, — იარაღის წარმოების და მისი კერძო ვაჭრობის აკრძალვის შემწეობით, მილიტარიზმის, კოლონიური პოლიტიკის, სამხედრო დეკრეტების და საიდუმლო დიპლომატიის წინააღმდეგ ინტენსიური მოქმედების მეოხებით. „პლატფორმა მოითხოვს თავისუფლების დაცვას ფაშისტური ლიგების განიარაღებისა და დაშლის, ყველა მოქალაქისათვის დემოკრატიულ თავისუფლებათა შენარჩუნებისა და განვითარების გზით, „ფინანსიური ფეოდალიზმის უღლისაგან" სახელმწიფოს განთავისუფლების და მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიების ნაციონალიზაციის გზით.

პლატფორმა მთავრდება მითითებით, რომ ორივე პარტია ინარჩუნებს თავის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას და თავის პროგრამას (ადს).

□ □ □

საფრანგეთის 1936 წლის ბიუჯეტი

პარიზი, 22 სექტემბერი. მინისტრთა საბჭომ გუშინ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე მოიწონა 1936 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტი ნავარაუდევია 46 ½ მილიარდი ფრანკის რაოდენობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის გასავლის 6 მილიარდ ფრანკზე მეტის დაფარვა სესხის საშუალებით არის გათვალისწინებული (ადს).

გაწვევის პირველი დღე

მოდიან, მოუხარიათ...

სტალინის რაისაბჭოს შენობასთან დიდძალ ხალხს მოუყრია თავი. მიმქროლავი ავტომობილები იძულებული ხდებიან აქ შეანელონ სვლა და სირენათა გამაყრუებელი ყვირილით გააფრთხილონ შუაქუჩაში უდარდელად შეჩერებულნი. ტრამვაის ზარის და ავტომობილთა სირენის ხმა სასულე ორკესტრის ხმაურში.

— ახალწვეულები გროვდებიან, მოქალაქენო გთხოვთ დაიშალოთ, ნუ აბრკოლებთ ქუჩაში მოძრაობას, ნუთუ მორთული ავტომობილები არ გინახავთ?!

მილიციელი ზრდილობიანად მოუწოდებს შეგროვილ მოქალაქეებს, დაიშალეთო, ნუ დგახართ ქუჩაშიო, მაგრამ რამდენ ერთს უნდა გააწვდინოს ხმა? ახალწვეულები კი მოდიან და მოდიან ჯგუფჯგუფად. კიდევ კარგი, რომ დღეს გაწვევის პირველ დღეს, ყველა ახალწვეული არ იყრის თავს. მხოლოდ 60 კაცი უნდა გაგზავნოს სტალინის რაიონმა გასაწვევ პუნქტზე შესამოწმებლად.

დროშებით მორთულ ავტომობილებზე დასვეს 60 ახალწვეული. ორკესტრმა სამგზავრო მარში აღმაფრთოვანებელი ხმა მოჰფინა ქუჩას და მთელი კარტეჟი დაიძრა საბურთალოსაკენ.

უკანა ავტომობილში ბიჭებმა იმერული მაყრული შემოსძახეს:

— ორიი, ორეროო, მოვალთ და მოგვიხარიაა...

აქ ყველაფერია ახალწვეულისათვის

მისრიალებენ ავტომობილები ასფალტიან ქუჩებზე და ჩქარა ისინი შეუდგნენ საბურთალოს შემართს. უწინ, აქ მტვერის თეთრი ბული დგებოდა დროგებისა და ეტლში შებმული ქოთაიანი ცხენებისაგან. ახალგაზრდა ზოოპარკის ნორჩი მცენარეები ჯერ კიდევ შარშან ქუჩიდან შემოსული თეთრი მტვერით იყვნენ შეფიფქულნი. ახლა აქ სარკესავით გზაა. მტვრიანი განაპირა უბანი მოგონების არქივს ჩაბარდა.

ჯერაც არ დამთავრებულა საბურთალოს გასამშვენიერებლად დაწყებული მუშაობა: აკეთებენ ტროტუარებს, კირწყლავენ ახალ ქუჩებს, აშენებენ მრავალსართულიან დიდ სახლებს.

ცენტრალური გასაწვევი პუნქტი საბურთალოს ველის დასაწყისშია მოწყობილი. სამი ახალი შენობას ფარდულებით, სახწყობებით და ფიზკულტურული მოედნებით—ქვის გალავანი არტყია. ვეებერთელა მათი ეზო მომავალში დაიტევს ფეხბურთის მოედანსაც და პატარა ბაღსაც. კულტურულად მოწყობილი, მშვენიერი დარბაზები, გამოფენები, სხვადასხვა კუთხეებია აქ მოწყობილი. ერთერთი შენობა სპეციალურად გამოფენებისათვისაა მოწყობილი. ამ შენობაშია—თავდაცვაავიაქიმის დარბაზი, ჯავშნოსანთა მოდელებით, სასროლი იარაღის ნიმუშებით, აირწინაღებით; გვერდით ერთი დარბაზი ავტოგზას აქვს დათმობილი, შემდეგი დარბაზი—სანიტარული დაცვის საკითხისთვისაა მიძღვნილი. იქვეა საპარიკმახერო, საქადრაკო და საშაშო კუთხე, სამკითხველო დარბაზი და დუქანი, სადაც ახალწვეულებს შეუძლიათ იყიდონ ასანთი, პაპიროსი, ლიმონათი, ხილი და სხ.

ცალკე შენობაშია გამართული სასადილო, სანიმუშოდ სუფთა სამზარეულოთი. აქ ახალწვეულებს შეუძლიათ ხელმისაწვდომ ფასად მიიღონ სადილები, საუზმე და ვახშამი.

მთავარ კორპუსში მუშაობენ გასაწვევი კომისიები. სულ 5 კომისიაა. ხუთი კარიდან ხუთ ოთახში შედიან რიგრიგობით ახალწვეულები. აქ ისინი გადიან აღრიცხვაზე, შემდეგ მეორე სართულზე ახალწვეულებს ელიან სხვადასხვა სპეციალობათა ექიმები.

ამსოლუტურად ჯანსაღი უნდა იყოს ის, ვინც წითელარმიის რიგებში იქნება მიღებული. უნებლიედ გაიხსენებ აქ მომსვლელი ძველ ამბავს: უწინ, მეფის დროს ახალგაზრდობა ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ჯარში წასვლისთვის თავი დაეღწია. ახლა, პირიქით, ახალგაზრდობას სურვილი აქვს წავიდეს ჯარში, მაგრამ ადვილი როდია ჯარში წასვლა, თუ ახალწვეული ყოველმხრივ მომზადებული არაა სამისოდ, კლასობრივადაც მისაღები.

აგერ კომისიის წინაშე წარსდგა ახალწვეული **ნიკოლოზ ალექსანდრესძე შენგელია.** მას ეკითხებიან: გსურს თუ არა წითელ არმიაში წასვლა, ვინ გყავს ოჯახში სარჩენი, სად მუშაობ, რას აკეთებ, ავადმყოფობა ხომ არაფერი გადაგიტანია.

— წითელარმიაში წასვლა ჩემი ოცნებაა: მინდა წავიდე სპეციალურ ნაწილში—ავიაციაში, ან მოტო-მექანიზებულ ნაწილებში. ეს იმიტომ მინდა, რომ საჭიროების დროს იქ უფრო ადვილი იქნება გამოვიჩინო ბიჭობა, დავამტკიცო ჩემი ვაჟკაცობა. სარჩენი დედა მყავს, მაგრამ უფროსი ძმაც მყავს და ჯარში ჩემი ყოფნისას დედაჩემს ძმა მოუვლის.

ექიმების დასკვნა კი შენგელიასთვის არახელსაყრელია. გულის ხშირი ცემა აქვს და ფილტვებიც სუსტი უნდა ჰქონდეს. დაუნიშნეს ხელახალი საექიმო შემოწმება. შეძლება შენგელიას უარიც უთხრან...

წითელი არმია გმირობის და თავდადების გამოჩენის ასპარეზია, იგი უნივერსიტეტი, სკოლაა, ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ამიტომაა ასე დიდი მისწრაფება წითელ არმიის რიგებისაკენ ჩვენს ახალგაზრდობაში.

25 სექტემბერს, გაწვევის პირველ დღეს, დილიდანვე დაიწყეს ახალწვეულებით სავსე მორთულმა ავტომობილებმა დენა ცენტრალური გასაწვევი პუნქტისაკენ. ათი საათისათვის ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ კომისიები შესდგომოდნენ მუშაობას.

გაიმართა თავმოყრილი ახალწვეულების მიტინგი, რომელიც გახსნა ცენტრალური გასაწვევი პუნქტის კომისარმა ამხ. **შ. ახათიანმა.** მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ტფილისის რაიონის სამხედრო კომისარი—ამხ. **შონია,** № დივიზიის მეთაურთა წარმომადგენელი—ამხ. **ვასილჩუკი** და ახალწვეულთა წარმომადგენლები—ამხ. **ლაბაძე** (სტალინის რაიონიდან), **გეგეშიძე** (ორჯონიკიძის რაიონიდან), **ბარსეღიანი** (26 კომუნარ. რაიონიდან), **რცხილაძე** (ორჯონიკიძის სახ. ქარხნიდან).

მიტინგის შემდეგ კომისიები შეუდგნენ მუშაობას.

ორჯონიკიძის რაიონის ახალწვეულები მიდიან ცენტრალურ გასაწვევ პუნქტში.

პატაკით მოსკოვს

21 სექტემბერს, საღამოს, მოსკოვს გაემგზავრა ტფილისის საბავშვო რკინიგზის მშენებელთა დელეგაცია.

დელეგაციას, რომელიც შესდგება საბჭოთა კავშირში პირველი საბავშვო რკინიგზის მშენებლობის მონაწილე 22 მოწაფე-პიონერისაგან, მოსკოვს ამხ. კაგანოვიჩისა და საკ. ა.ლ.კ.კ. მდივან ამხ. კოსარევისათვის წარსადგენად მიაქვს პატაკი ტფილისის საბავშვო რკინიგზის მშენებლობისა და მუშაობის შესახებ. 500 ნორჩი მშენებლის სახელით დელეგატები მოუთხრობენ რკინიგზის სახალხო კომისარს ამხ. კაგანოვიჩს და ამხ. კოსარევს, თუ როგორ აშენდა ახალი გზა და როგორ ხდება მისი ექსპლოატაცია.

პერონზე, დელეგაციის ვაგონის მახლობლად, ტყესავით გაშლილია ალისფერი დროშები. დელეგაციის გასაცილებლად მოვიდნენ რამოდენიმე ასეული პიონერი, მოწაფე, მოზარდი მაყურებლის რუსული თეატრის ხელმძღვანელები, ნორჩ მშენებელთა მშობლები.

მიტინგი

— ჩვენ უკვე გადავიყვანეთ 65.000 მგზავრი, — ამბობს 11 წლის პიონერი ქალი, საბავშვო რკინიგზის მე-44 მშენებელი ბრიგადის დელეგატი მოსიენკო.

— ჩვენმა პატარა მატარებელმა სრულიად უავარიოდ და ურემონტოდ გააკეთა 1.000 კილომეტრი. ჩვენ ვთხოვთ ამხ. კაგანოვიჩს დაგვეხმაროს, რათა ჩვენი 400-მეტრიანი გზა გავაგრძელოთ კიდევ 1000 მეტრით, ავაგოთ კიდევ ერთი სადგური, გვირაბი და ხიდი.

შემდეგ ლაპარაკობს დელეგატი [illegible]. მას [illegible] სხვები. ყოველი დელეგატის სიტყვა იწვევს სიცილით და სიხარულით აღსავსე „ვაშას".

გამცილებელ პიონერთა სახელით დელეგაციას მიესალმება 9 წლის მოწაფე, პიონერი აიზენბერგი.

— ბედნიერი მგზავრობა, ამხანაგებო. დაბრუნდით ჯანსაღნი, თან ჩამოიტანეთ კარგი ამბავი.

ახალგაზრდა მშენებლებს წითელი არმიისა და ფლოტის ამხ. კიროვის სახელობის ლენინგრადის სახლის და ლენინგრადის ახალგაზრდა მაყურებელთა თეატრის სახელით მიესალმება ამხ. კემპერი.

გამგზავრებისას დელეგატებმა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ბერიას გაუგზავნეს მისალმების დეპეშა:

— პიონერთა მადლობა, — სწერენ ისინი. დღეს მივემგზავრებით მოსკოვს ამხ. კაგანოვიჩისა და კოსარევისათვის პატაკის წარსადგენად.

მიტინგმა მისალმების დეპეშები გაუგზავნა ა.-კ. რკინიგზის უფროსს ამხ. როზენცვეიგს, ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. პავერმანს. საგზაო პროფკავშირის თავმჯდომარეს ამხ. მაჩაიძეს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარს ამხ. თათარიშვილს, ტფილისის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ქაცარავას.

საღამოს 5 ნახევარ საათზე მოსკოვის მატარებელი ნელნელა გაშორდა სადგურს. უკრავს ორკესტრი. გაისმის ბავშვთა ხმამაღალი შეძახილი „ვაშა".

□ □ □

500 კილომეტრი ფეხით

ლაგოდეხელი კოლმეურნენი ტფილისში ჩამოვიდნენ

დაღესტნის რესპუბლიკის 15 წლისთავის აღსანიშნავად ლაგოდეხის რაიონიდან დაღესტანის დედაქალაქ მახაჩკალაში ფეხით გაემგზავრა 35 კოლმეურნე. კოლმეურნე-მოგზაურებმა წარმატებით გადალახეს კავკასიონის ქედის უღელტეხილები და 21 სექტემბერს ჩავიდნენ მახაჩკალაში, საქართველოდან ჩასულ სტუმრებს მახაჩკალის მშრომელნი მხურვალედ შეხვდნენ.

მახაჩკალაში ყოფნისას და გზადაგზა დაღესტანის სოფლებზე და დაბებზე გავლისას, ლაგოდეხელი კოლმეურნენი ეცნობოდნენ დაღესტნის მშრომელთა მიღწევებს, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის, ისე სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სამრეწველო მშენებლობის დარგებში.

კოლმეურნე-მოგზაურებმა ლაგოდეხიდან მახაჩკალამდე ფეხით გაიარეს 500 კილომეტრი. ხელმძღვანელებად გამოყოფილი იყვნენ ამხ. ივანოვი (გადასვლის მეთაური) და ამხ. ზერეკიძე (გადასვლის მონაწილეთა პარტორგი).

გუშინ, 25 სექტემბერს ლაგოდეხელი კოლმეურნენი ტფილისში ჩამოვიდნენ,

□ □ □

ბელგიელი აერონავტები მწერალ შოლოხოვთან

დონის-როსტოვი, 23 სექტემბერი. გუშინ საღამოს ვეშენსკაიადან როსტოვს ჩამოვიდნენ ჰაეროსტატების საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილენი—ბელგიელი აერონავტები დემუიტერი და ოფმანი, რომელთაც მოახდინეს იძულებითი დაშვება აზოვ-შავი ზღვის მხარის ვეშენსკის რაიონში. საკ. დეპ. სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში პილოტმა ოფმანმა შემდეგი განაცხადა:

— თქვენს ქვეყანაში მესამეჯერ ვარ. პირველად აქ 1912 წელს მოვფრინდი და ქალაქ ჟიტომირთან დავეშვი. შარშან ჩემმა აეროსტატმა უდიდესი მანძილი გაიარა და რიბინსკთან დაეშვა. ახლა დონის ნაპ.. დავეშვი. კოლმეურნეებმა მშვენივრად მიგვიღეს. ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ თქვენ გაქვთ უდიდესი წარმატებანი გრანდიოზულ მშენებლობაში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე შეხვედრამ მწერალ შოლოხოვთან, რომელმაც სიყვარულით მიგვიღო.

ვეშენსკაიაში მხოლოდ 1 დღეს დავრჩით, ვისეირნეთ დონზე და ვითევზავეთ. შოლოხოვმა მიძღვნა „ტიხი დონ" ფრანგულად, მე კი ვაჩუქე მას ჩემი წიგნი: „ჰაერნაოსნობა" (ადს).

შალვა დადიანი

გორი

როგორც კი გორის სადგურთან შეჩერდება მატარებელი, მაშინვე იგრძნობთ, რომ... გორი [illegible]ასაც ეპირება.

ეს ეტყობა თვით სადგურს: მიწის ძვრის შემდეგ ჩაბუყნილად რომ იდგა და უფრო აბანოს ჰგავდა თავისი დაბალი თაღებით.

დღეს მაღლა ასხლეტილა მისი კედლები, სინათლე ფართოდ შემოუშვია დარბაზებში და თავზე კიდევ ორ, ყელ-მოღერებულ კოშკს იდგამს. თვით დარბაზებს კი სისუფთავისა და სიფაქიზისაკენ პირი უქნიათ.

ეს ბჭე-კარი ქალაქისა.

და აი მოდგა მოხდენილი, კარგი ტევადობის, № 1 ავტობუსი და გვაქანებს ქალაქისაკენ.

გავცილით ხიდს და შევდექით მთავარ ქუჩაზე, ლენინის ქუჩაზე.

გუდრონირებულია.

ქუჩას აქეთ-იქით ამოცემენტებულ კალაპოტში წყალი ჩამოუდის.

სამური ქუჩაა.

პირდაპირ არის გაისრული განთქმულ გორის ციხის კალთებთან მიშენებულ სახლებზე და თითქო გაზრდას ემუქრება სახლებსაც და თვით ციხის კლდესაც.

გორის ენტუზიასტები ოცნობენ ამ ციხის კლდეში გვირაბის გაყვანას, მაგრამ ვაცალოთ გორის დაგეგმვებულ მშენებლებს.

გავირბენ წინ და აქვე მოვიხსენიებ მაგალითისათვის, რომ ის შენობა, რომელშიაც გორის მუზეუმი და ბიბლიოთეკა - სამკითხველო იქნება მოთავსებული, დაუწყიათ გასულ აგვისტოს 1-ლსა და სექტემბრის 1-სთვის უკვე სახურავამდე მიუყვანიათ.

საერთოდ, გორს თუ რამ დაეტყო სიახლე და მშენებლობის ინტენსიობა, ეს უფრო მიმდინარე წლის იანვრიდანა ხდება და ამის მთავარი ბიძგის მიმცემი გორში, აღმაფრთოვანებელი — „დამიბეზღებია" საჯაროდ — გორის რაიკომის მდივანი ამხ. **დავით ფანცულაია.**

ის თავს დასტრიალებს ყოველ დარგს სამუშაოსას.

მე რომ შევესწარ პარტ-დოკუმენტების შემოწმებაში იყო ჩაღრმავებული და დიდად მოუცლელი, მაგრამ მაინც ასწრებდა საამშენებლო წერტების თითქმის ყოველდღიურ დათვალიერებას და საჭირო საკითხებზე მოთათბირებას.

ერთხელ სწორედ გამაკვირვა: ლიახვზე, რომ დასავლეთით, სოფ. ხვარიანისაკენ ხიდს აშენებენ, იქ [illegible]. უკვე ბურჯები ამოჰყავთ და, ცხადია, ბურჯები ხარაჩოებით არის ჯერ შემოსილი.

ამხ. ფანცულაია, ცოტა სქელი კაცია, მაგრამ მაინც, როგორც აკრობატი ისე ავარდა ამ ხარაჩოებზე და ნაჯახით გასინჯა ბურჯის ნაგებობა.

მიუხედავად ჩემი მეგრელობისა — ხომ ცქვიტი უნდა ვიყო — მე ვერ გავბედი ხარაჩოებით ბურჯამდე მიღწევა და ამაღლებულ ბორცვიდან მოუარე, საიდანაც ბურჯის რაობა კარგად მოსჩანდა.

ამხ. დათიკომ სამუშაოს ზემდეგს ბევრი რამ გამოჰკითხა და თვითაც მრავალი საქმიანი შენიშვნა მისცა. ლურსმნებიც კი არ დაივიწყებია. მაშინ დავრწმუნდი, რომ ამ კაცმა ისიც კი იცის, სად რა ქვა იდება, რა აგური და როგორ. შემდეგში მითხრეს, რომ როგორც გორელებს, ისე მთელი რაიონის მშრომელ მოსახლეობას დიდად უყვართ იგი, მეტად პოპულიარული კაცია.

სახალისოა ამგვარ კაცთან მუშაობა. და აი, მხატვრული სიტყვის ოსტატებო, გაიცანით ასეთი ახალი ადამიანები, რომლებიც გამოსჭედა ჩვენმა ეპოქამ, თავდადებულნი, რწმენის ხალხი, რომლებიც დიდ სასქვეყნო საქმეებს აკეთებენ.

მაგრამ განვაგრძოთ ჩვენი მოგზაურობა.

ამ მთავარ ქუჩაზეა ჩამომწკრივებული: სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმი, რაიაღმასკომი, ქალაქის საბჭო, ბანკი, მილიცია, სასტუმროები—ძველი და ახალი, კინოები—ძველი და ახალი, რაიკომი, კომკავშირელთა ორგანიზაცია და სხვ. და სხვ.

ჩამომწკრივებულან, მაგრამ, გარდა ერთი ორისა, კი არ ჩამოფხავებულან და ცხვირ-პირი კი არ ჩამოსტირით, არამედ შემოსილან, შეფერადებულან, მოჩუქურთმებულან და თითქო სიხარულით შესციცინიან ახალ სიცოცხლეს, ახლად შობილ ქალაქს.

გორი უსათუოდ იცვლება.

მრავალ ჭირნახულ ისტორიულ ადგილს და მიწისძვრისაგან თითქმის განადგურებულ გორს მხოლოდ ჩვენი დროის სოციალისტური ტემპები თუ განამტკიცებდა, ჩააბერავდა მხნეობას და დააყენებდა დიდი მშენებლობის გზაზე.

აგერ გავუხვიეთ ლენინის ქუჩიდან. დიდი და ფართო გზა, ეს ახალი გაჭრილია, მიდის მარქსის მოედნისაკენ, მომავალ პედ-ინსტიტუტისაკენ და გვერდით ჩაუვლის მომავალ ახალი თეატრის შენობას.

თეატრზე მე კიდევ შევჩერდები.

მაგრამ ჯერ წავიდეთ ცხაკაიას ქუჩით.

ეს ქუჩაც ლამაზდება. ამ ქუჩაზევე შენდება ზემოხსენებული, დიდის სისწრაფით აგებული მუზეუმი და ბიბლიოთეკა - სამკითხველო.

ამ ალაგას თურმე მრავალი ქოხმახი იყო, მაგრამ, როდესაც გადაწყდა ხსენებული შენობის აგება, პირდაპირ ზღაპრულად, რამდენიმე დღეში აღარ იყო, მცხოვრებლებს სხვა ბინა მიუჩინეს და ჩვენ ბალავერი ჩავყარეთო, მეუბნებოდა ცნობილი ხუროთ-მოძღვარი ამხ. სევეროვი. რომელიც ამ მშენებლობას ხელმძღვანელობს.

მაგრამ რამდენიმე ნაბიჯზე ამ ალაგიდან. მის გასწვრივ, მეორე ქუჩის ნაპირას, კიდევ უფრო შესანიშნავი სანახავი მომელოდა თურმე.

შესანიშნავი იმიტომ კი არა, რომ იქ რაღაც გასაოცარი ძეგლია აღმართული.

არა.

უბრალო, ჩვეულებრივი ქალაქური ყაიდის, მომცრო აგურის სახლია, ამჟამად კარგა მოძველებული, მაგრამ შესანიშნავია მით, რომ ოდესღაც იქ ცხოვრობდა, იქ გაუტარებია თავისი ბავშობა. იქ ფოლადდებოდა თურმე მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი.

ის აქ ცხოვრობდა. მიყრუებულ გორში, რომელიღაც პაწია უთვალადო სახლში, საიდანაც დაიწყო ისტორია მისი მდიდარი, უმაგალითო ცხოვრებისა.

რა იყო გორი აქამდე?

თუ ძალიან შორს წავალთ, ვიმოწმოთ ისტორიკოსი ვახუშტი:

„არა არს უწყებულ ვისით აღშენდა პირველ". გორზეა ლაპარაკი.

თანამედროვე მეცნიერი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი კი ამბობს: „არა სჩანს მხოლოდ, ამ დროს გორი ქალაქი იყო თუ სოფელი". უნდა ვიგულისხმოთ ხანა 11 საუკუნემდე.

ე. ვეიდენბაუმი, ცნობილი მკლევარი ასე მოგვითხრობს თავის „Путеводитель по Кавказу"-ში.

„ქალაქის დაარსების დრო უცნობია. ქართულს მატიანეებში იგი (გორი) პირველად იხსენება თამარის მეფობის დროს (1184-1212). სომეხი ისტორიკოსის მათე ედესელის სიტყვით კი გორი დაარსებულია 1123 წ. დავით აღმაშენებლის მიერ, რომელმაც იქ მტერთაგან შევიწროებული და მის მფარველობის მძებნელი სომხები დაასახლაო".

მხოლოდ ამას კი თითქმის ყველა მკვლევარი ამტკიცებს, რომ გორი სანამ ქალაქად იქცეოდა, დიდ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა ქართლშიო. უამისობა შეუძლებელიც იყოო, რადგან აქ იყრებოდნენ ოსეთისაკენ, სამცხესაათაბაგოსაკენ, იმერეთისაკენ და ტფილისისაკენ მიმავალი გზები.

გორს ჰქონდა თავის დროზე სტრატეგიული მნიშვნელობა და მის კალთებთან, თვით გორის ციხესთან მრავალი ფიცხელი ომიც გადაუხდიათ თურმე.

დამახასიათებელია ერთი ისტორიული დოკუმენტი, უკანასკნელი მეფის გიორგის მიერ მიწერილი 1800 წ. სექტემბრის 21-ის ოთარ ამილახვართან. ეს ოთარი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დიდი ფეოდალი ყოფილა ქართლში. მეფე სწერს:

„ჩვენს მაგიერად მის ბრწყინვალებას ბატონს ამილახვარს ოთარს მრავალი მოკითხვა მოხსენდეს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა, ფარნაოზისაგანა*) სოფლების შეწუხება და წართმევა მოგეწერა, და აგრეთვე გორში მოსვლა და გორელების მუქარის მოთხოვნა. იმ დღესაც მოგწერეთ და ახლაც ამასა გწერთ, თუ ან ჩვენი ბატონ-ყმობა გინდა და ან ჩვენი ერთგული ხარ, ახლა გამოგიჩნდება, რომ არც ფარნაოზი შეუშვა გორში და არც ფარნაოზის კაცნი და არც არა დაანებო გორიდამა; თუ ან ფარნაოზ და ან ფარნაოზის კაცნი გორში შეგიშვია, ჩვენს ბატონყმობაზედ და ჩვენს ერთგულებაზედ ხელ-აღებული იქმნები. — ფარნაოზის კაცებს ნურაფრით ნუ დაზოგამ, დასტური გაქვს ჯოხით, კეტით, ქვით და იარაღით, თოფით, ხმლით, დამბაჩით, ნურაფრით ნუ დაზოგამ და ნურც შეუშვებ, და თუ რომ დაიჭერ და დაჭერილს გამოგვიგზავნი და ხელში ჩაიგდებ ისა სჯობს, რომელიც უნდა იყოს მანდ გორში მოსული კაცი და ერთის ფულისა არა დაანებოთ — რა. ასე უნდა იცოდე".

შემდეგ:

„გორის მამასახლისო და გორელებო! ამ საქმეზედ თუ, რომ ამილახვარს არ ეთანხმებით და ფარნაოზის კაცის შემოუშვებლობასა და ავათ მოპყრობაზედ ამ საქმეზედ არ დაემორჩილებით, ჩვენი მოსისხლენიც იქნებით და კიდეც გარდაგახდევინებთ; ნუ ცრუობთ და ნურც ალამყალაყობთ**), სწორეს პირით და სწორეს გულით მოიქეცით და ამილახვარს უქომაგებთ ამ საქმეზედა; და, ამილახვარო, შენი დაბარება რომ მოგვეწერა, ნუღარ წამოხვალ და მაგ ქვეყანას მოუარე და მანდაური და შენი ანბავი მოგვწერე".

ამ მეფის ბრძანებას დაემატა ის ფაქტი, რომ იმავ 1.800 წ. გორში გაგზავნილ იქნა გენერალ ლაზარევის მიერ ერთი ბატალიონი ეგერის პოლკისა იმერეთის საწინააღმდეგოდ და **„შინაური მტრების"** მოსაგერიებლად.

ვეიდენბაუმი კი ამას დასძენს, რომ 1801 წ. როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, გორი სამაზრო ქალაქად იქცაო.

მაგრამ მე ამ ისტორიას აღარ გამოვეუდგები. ვიცი, რომ ეს მკლევარების საქმეა.

ვესაუბრე გორის პასუხისმგებელ ამხანაგებს, რომ საქართველოს გასაბჭოების 15 წლის თავისათვის გამოსცენ ერთი კრებული, სადაც გორის წარსული და აწმყო იქნება გაშუქებული და აგრეთვე მოთავსებული იქნება მწერალთა მხატვრული ნაწარმოებნი, ვისაც კი მხატვრული რამ დაუწერია გორზე: ლექსი, პროზა და სხვ. მანამ კი ვიცი—ერთი ორი კაცი ამზადებს გორის მონოგრაფიას და მათ შორის ამხ. **გუგული ბუხნიკაშვილი,** ასე რომ მეგობარ დრამატურგს ამ სფეროში აღარ შევეცილები.

მიწის ძვრის ამბავი მაინც უნდა მოვიხსენიო. მატიანეებიდან სჩანს, რომ საერთოდ ქართლში და გორის არემარეზე განსაკუთრებით, ხშირად ყოფილა მიწის-ძვრა წარსულშიაც.

1080 წ. მაგალითად, — განადგურდა დაბა-სოფლებიო. თვით გორი ხელდადებით არ არის ნახსენები, მაგრამ გორის არე-მარეზე მდებარე სოფელთა სახელები: ოხერა და არაშენდა, მე მგონი, ამის დამამტკიცებელი უნდა იყოს.

1920 წ. ხომ, ჩემი თაობის ხალხს მაინც, ძალიან კარგად ახსოვს მიწისძვრისაგან როგორ განადგურდა გორი.

— ის პირველი ღამე ხომ საშინელი რამ იყო, მეუბნებოდა ერთი გორელი ხანდაზმული — შემდეგშიაც მთელი ერთი თვე ისე გვარწევდა, როგორც შენი მოწონებული აკვანიო.

გორი ისე დაცალიერდა, რომ 5000-მდე მცხოვრები თუ დარჩა. ეხლა კი ოფიციალი ცნობით 1935 წ. 14483 მცხოვრები ითვლება გორში.

უკანასკნელმა დიდმა ყურადღებამ გორისადმი ხალხს რწმენა მისცა და ქალაქმა იწყო თავისი ბუნებრივი ზრდა. განმიცხადეს რაიონის სტატისტიკურ განყოფილებაში.

გორი, როგორც მოგეხსენებათ მდებარეობს მტკვრისა და ლიახვის პირას, შუაგულ ქართლში.

ქალაქის ტერიტორია ამჟამად გაშლილია 400 ჰექტარზე და აქვს ტენდენცია იზარდოს ფშანისაკენ. მომავალში, როდესაც ლიახვზე ხიდი გაიჭედება, აქვთ იმედი, რომ სოფ. ვარიანისაკენაც გორი გაშლის ფრთებსა.

სახელწოდება გორი კი ვახუშტის ახსნით ასეთია:

„ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი ლიახვის მდინარესა კიდესა ზედა".

და მართლაც, მთელი ქალაქის დაცემულ ველზე თითქო კუნძულად ამობურთულა კლდოვანი გორა, საცა შემდეგში მცხოვრებლებს ციხე-სიმაგრე გაუშენებიათ.

იგივე ვახუშტი ამბობს:

„არამედ არს ადგილი ჰავითა, მშვენიერი, წყალი კარგი".

წყალზე ეს უნდა ითქვას, რომ ახლა გამოჰყავთ „მშვენიერი" წყალი ამ საქმეებში დიდად გამოცდილი ინჟინერ-ჰიდრავლიკ ამხ. **ქურდიანის** მეთაურობით. მე უკვე ვნახე იქვე ციხის ძირას როგორ შენდება წყალ-საქაჩი და თვით ზევით ციხეში მარაგის აუზი. აქვთ იმედი, რომ ახლად-გამოყვანილი წყალი ამავე წელს გადმოსჩქეფავს ონკანში მთავარ ქუჩაზე მაინც.

ვახუშტის სიტყვით, მის დროს: „მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მშვენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი".

ეს ეხლაც ასე არის: „მსახლობელნი". უმეტესად ქართველები და სომხები არიან. უმცირესობა კი დანარჩენნი. მაგ., ამა წლის იანვრის 1-თვის ქართველი 9060 იყო, სომეხი — 3.300, რუსი — 520, ებრაელი — 320, ოსი—400 და ასე.

აქ მისდევენ: თიხისა და ქვის მოპოვება-დამუშავებას, ლითონის დამუშავებას, მანქანების აღმშენებლობას, ხის დამუშავებას, ქიმიურ მრეწველობას, სასმელ-სანოვაგ. და ნარკოტ. წარმოებას.

აქ არის უდიდესი საკონსერვო ქარხანა ა.-კ. მნიშვნელობისა, მძლავრი სახერხი ქარხანა და სხვ.

როგორია დღეს **ჯანმთელობა გორისა?** მაგალითისათვის: თუ 1928 წ. მალარიით დაავადმყოფებულთა რიცხვი აღწევდა 2740-ს, ეხლა 1527-ზეა ჩამოსული. ვენერიულ ავადმყოფობით თუ იმავ 28-ში 3345 იყო, ეხლა მხოლოდ 650-ია.

„ეპიდემიის მხრივ სრულიად სანუგეშო მდგომარეობა არის წინა წლებთან შედარებით. ძლიერ შემცირებულია მწვავე გადამდები სენით დაავადებაო" სწერს ოფიციალურ ცნობაში გორის რაიჯანგანყოფილების გამგე ამხ. **ფრ. გამსახურდია.**

ამავე ოფიციალური ცნობის თანახმად გორში შემდეგი სამკურნალო ორგანიზაციებია: საავადმყოფო 70 საწოლით, პოლიკლინიკა ყველა კაბინეტებით, ვენდისპანსერი, ტროპიკული სადგური, ტუბდისპანსერი, ფიზიო-თერაპიული და რენტგენის განყოფილება, დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, ლაბორატორია, რაიონის და ქალაქის სანიტარული ორგანიზაცია, საკონსერვო ქარხნის ჯანპუნქტი, სამხერხაო ქარხნის ჯანპუნქტი, მ. დ. ს. ლახურული საექიმო პუნქტი, სამოსამართლო ექსპერტი, ფიზკულტურის კაბინეტი, ბინაზე დახმარების ორგანიზაცია, ზაგები: სამხედრო მსახურთათვის—30 საწოლით, საკონსერვო ქარხნისათვის — 40 საწოლით და სხვ.

„მაგრამ საავადმყოფო, საწოლთა სიმცირის გამო, ვერ აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას და ხშირია შემთხვევები უარის თქმისა. ამავე დროს ზოგიერთ დაავადებისათვის ხშირად რიგი იქმნებაო" სჩივის, ზემოხსენებული ცნობა და ახლო მომავალში, ცხადია, ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიონ სათანადო ორგანოებმა.

განათლების მხრივ კი ასეთ სურათს იძლევა გორი:

საბავშვო კერა 4, საბავშვო მოედნები 1. პირველ დაწყებითი სკოლები მთელს რაიონშია გაბნეული — 100, სწავლობს 5661 მოწაფე. არასრული საშუალო სკოლა 6, სრული საშუალო 1, საქარხნო-საფ. 7 წლედი 1. ტექნიკუმები: პედტექნიკუმი 1, სას.-სამ ტექნიკუმი 1. პოლიტგანის დაწესებ: კლუბები 3, თეატრი 1, კინო-თეატრი 1, განათლ. მუშ. სახლი 1, ქოხ-სამკითხველო 1.

როდესაც ამ ცნობებს ვკრეფდი გორის განათლების განყოფილებაში, მის გამგეს ამხ. **თათარაშვილს** ტელეფონით დაურეკეს. გამოირკვა, რომ ვინმე მასწავლებელი ბუნებისმეტყველების გაკვეთილებს ეძებდა და განყოფ. გამგემ სოფ. ტყვიავზე მიუთითა.

გულში გავიფიქრე: ჰაი გიდი ტყვიაო! მეცნიერულ ბუნების მეტყველებასაც რომ შესჭიდებიხარ!

თითქო ამის პასუხად განათლების განყ.-მ მომაგება შემდეგი ცნობები: ახალი სკოლები შენდება შემდეგ სოფლებში. ქვახვრელში, ახალ ხიზაში, ტირძნისში, ახალ-ხურვალეთში, ბერშუეთში, ზერტში, ფლავისმანში, ზემო ახალ-სოფელში, ქიწნისში, წითელ უბანში და სხვ. 35 წლის დაბანდებათა რაოდენობა უდრის 307.000 მანეთს, შრომითი მონაწილეობა გლეხობისა 100.433 მანეთს. მთავარი: გორში შენდება პედ-ინსტიტუტის შენობა, რომელიც ჯდება 1.900.000 მანეთი.

მხოლოდ თეატრის საქმე არის საჭოჭმანო. არსებითად გორს ამჟამად თეატრი არა აქვს: მშვენიერ პარკში მოთავსებული საზაფხულო შენობა, მართალია, შედარებით ბევრს იტევს. მაგრამ თვით სცენა და მისი მოწყობილობა უფრო საესტრადო შთაბეჭდილებას სტოვებს და მთელი შენობაც საერთოდ როტონდისებურია. საზამთრო კი ერთი ვიწრო და გაგრძელებული დარბაზია და მისი სცენაც უფრო

(დასასრული მე-4 გვერდზე).

---

*) ძმა იყო გიორგი მეფისა. შ. დ.

**) ხაზი ჩვენია. შ. დ.

პატარა ფელეტონი

„ვუშველოთ“ ხერხეულიძეს

— მიშველეეეთ! მიშველეეეთ! მკლავენ... მიშვ...

ტელეფონის მილმა უკანასკნელი სიტყვა შუაზე გაწყვიტა და კოჯრის სასოფლო საბჭოს თანამშრომლის გული ააძგერა.

— მიშველეთ! მკვლენ!.. საჩქაროდ მომაშველეთ მილიცია... — ასეთი შემაძრწუნებელი დეპეშა მიართვეს კოჯრის მილიციის უფროსს. დეპეშას ხელს აწერდა კოჯრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ხერხეულიძე.**

ცხენოსანი მილიცია დაიძრა კოჯრიდან, რამდენიმე ათეული წუთის შემდეგ მილიციელების გაოფლიანებული ცხენები ქშენით დაეშვნენ სოფელ შინდისის დაქანებულ მინდორზე. ძაღლების გამაყრუებელი ყეფა ეურთდებოდა ცხენების ფეხის თქარა-თქურს ფიწლებით, ორთითებით, ნამგლებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღით შეიარაღებულ გლეხთა ყიჟინა, შეძახილები: „ჰკა ძაგას!“, ქალების და პატარების წივილ-კივილი, ხერხეულიძის მათრახის ტყლაშუნი — ყველა ამ ხმის და ბგერის შეზავება შემზარავ კაკოფონიას ჰქმნიდა.

თოფი არ გავარდნილა. მომარჯვებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები გლეხებმა მორჩილებით და მონანიებით ძირს დახარეს, ტყვედ ჩავარდნილი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ხერხეულიძე** გადასცეს მილიციელებს და დასძინეს: „ბოდიში, მაგრამ მათრახმა გამოგვიყვანა მოთმინებიდანო“.

ხერხეულიძე, რომელსაც „ლურჯა ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“, მოახტა თავის ტაიჭს, შემოჰკრა მათრახი, რომელსაც აქამდე გლეხებს ურტყამდა, და მილიციელებთან ერთად მოჰქუსლა თავის საბრძანებლისაკენ. „გიტირებთ ყოფასო“.—ასე გამოეთხოვა ალექსანდრე შინდისელ გლეხებს.

მკითხველი ალბათ დამშვიდდა, რომ გაიგო ტყვეობისა და სიკვდილისაგან ხერხეულიძის დახსნის ამბავი. მაგრამ დამშვიდება ნაადრევია. ხერხეულიძეს შველა, ხერხეულიძეს პატრონობა უნდა და ეს უნდა მოხდეს სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ.

ამას გვიკარნახებს მთელი რიგი ფაქტები კოჯრის სასოფლო საბჭოს ამ მათრახოსან, ლურჯაცხენოსან თავმჯდომარის მოღვაწეობიდან. ჯერ თვით მისი ლურჯას ამბავიც ყურადსაღებია. საიდან ჰყავს ეს ლურჯა ალექსანდრეს? მან ეს ცხენი შემთხვევით უნახა ერთ გლეხს, მოეწონა და კონფისკაცია უყო. ვინ გაუბედავს რამეს თავმჯდომარეს! მათრახი მუდამ მომარჯვებული აქვს ხელში. ტყლაშ! — და მორჩა. ურჩების წინააღმდეგ ეს ნაცადი საშუალება არის ხერხეულიძისათვის.

ახლა ვილაპარაკოთ თივაზე, რამაც საბედისწერო როლი ითამაშა ხერხეულიძის ცხოვრებაში და რაც გახდა მისი „ტყვედ ჩავარდნის“ მიზეზი.

ხერხეულიძემ, როგორც იტყვიან ხოლმე, ადგილებზე დაუშვა თივის დამზადების გეგმა. გეგმაც დაუშვა და თვითონაც დაეშვა ლურჯა ცხენით სოფელ შინდისში. ერთს მათრახი გადაუჭირა, მეორეს ჰიტლაში ამოჰკრა და გეგმაც შეასრულა ყოველგვარი ლაილაის გარეშე. (სახელმწიფო დამზადებათა გარშემო ახსნა განმარტებითს მუშაობას ხერხეულიძე „ლაილაის“ კამპანიას უწოდებს ხოლმე!) გლეხებმა ჩაბარებულ ვალდებულებათა თანახმად პირნათლად შეასრულეს მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე.

მაგრამ როცა ხერხეულიძემ შეაჯამა დამზადებული თივა, არ გამოუვიდა ნავარაუდევი ციფრი. ამიტომ მან ხელმეორედ „დაუშვა“ გეგმა. ხერხეულიძეს ხელმეორედ დამზადებული თივა სადღაც გაებნ-გამოებნა. იგი ახლა უკვე ალარავითარ გეგმას არ „უშვებს“ ადგილებზე. „სადაც თივა ნახოთ, დაუდეთ ურემზე და მოიტანეთო“, — გასცა ბრძანება ხერხეულიძემ.

გლეხს ლევან ძიძიაშვილს, რომელსაც თავის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული, კარს მიაყენეს ურმები, საზამთროდ შეზვინული თივა გადმოუზვინეს, დატვირთეს 100 ფ. და წამოიღეს. მაგრამ როდესაც ურმები მეორე მოსახლეს მიადგნენ, აქ უკვე გლეხებში ჩოჩქოლი ატყდა. გაიგო თუ არა, გლეხები ურჩობას ბედავენო, ხერხეულიძე შეჯდა თავის, უკეთ რომ ვთქვათ, მითვისებულ ლურჯა ცხენზე, ხელში მოიმარჯვა მათრახი და სოფელ შინდისისაკენ გაჰქუსლა.

ხერხეულიძე მათრახით დაერია უდანაშაულო გლეხებს და სწორედ ამიტომ იყო, რომ ის მოთმინებიდან გამოსულმა შინდისელმა გლეხებმა დაატყვევეს. ამას მოჰყვა ტელეფონის წკრიალი, ზემომოყვანილი გულშემზარავი დეპეშა: „მიშველეთ, მომკლესო“.

ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ხერხეულიძემ მეორე დღესვე სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა: „გიტირებთ ყოფასო“. შინდისის მცხოვრებთ სათითაოდ შეაწერა ჯარიმა, მიავლინა „ეგზეკუცია“ და მილიციელების საშუალებით გადაახდევინა.

ასეთი მეთოდით რაზმავს ხერხეულიძე გლეხებს პარტიისა და ხელისუფლების გარშემო. გეკითხებით, მკითხველო, უნდა თუ არა შველა ხერხეულიძეს? უსათუოდ უნდა. დაუყოვნებლივ უნდა ვუშველოთ ხერხეულიძეს, სანამ რამე ხიფათს შეგვყრიდეს. ვუშველოთ ხერხეულიძეს, გავუსინჯოთ ტემპერატურა, გავუსინჯოთ ტვინის უჯრედები. ამ უჯრედებში ხომ არ არის გაბნეული ყოფილ თუ ძველი მამასახლისის ელემენტები.

გერმან შუბიძე.

□ □ □

გამგეულის ქსოვილების გამოფენა

„სოუზხლოპკოსბიტმა“ ბათომში გახსნა ბამბეულის ქსოვილისა და ხელოვნური აბრეშუმის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია საკავშირო მრეწველობის ახალი ქსოვილების 217 ნიმუში. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბათომის მშრომელებში. მიღებულია მრავალი საანკეტო გამოხმაურება ახალი ქსოვილების ნახატების, ფერისა და ხარისხის შესახებ.

ველოშეჯიბრება

მიმდინარე წელს გამართულმა ველოშეჯიბრებამ ცხადჰყო ჩვენი ველოსიპედისტების ზრდა. ყოველ შეჯიბრების შემდეგ მყარდებოდა მთელი რიგი საქართველოს და ა.-კ. რეკორდები.

ტფილისის პირველობაზე გამართულმა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველობის გათამაშებაში არ მიუღიათ მონაწილეობა „დინამოს“ ველოსიპედისტებს, რის გამო ტფილისის პირველობის გათამაშება პროფკავშირების ველოსიპედისტებს შორის ხდებოდა. შეჯიბრების შედეგად დამყარებულია ხუთი ახალი ა.-კ. რეკორდი. ქალთა შორის ა.-კ. რეკორდი 200 მეტრზე სვლით დაამყარა **ნაზარაშვილმა**—15,7, მანვე დაამყარა ა.-კ. ახალი რეკორდი 500 მეტრზე სვლით 42,2. ნაზარაშვილმა და რაქსნიევიჩმა გუნდობრივ შეჯიბრებაში სამი კილომეტრი გაიარეს 4: 52,2, რაც ა.-კ. ახალ რეკორდად ჩაეთვალათ.

ვაჟთა შორის 500 მეტრზე სვლით ხაბურზანიამ ეს მანძილი დაჰფარა 37 წამში, რაც ა.-კ. რეკორდზე უკეთესი აღმოჩნდა. მანვე დაამყარა ა.-კ. ახალი რეკორდი 1 კილომეტრზე სტაიერულ შეჯიბრებაში (ლიდერი ამხ. არაქელოვი) 11:57,8; ძველი რეკორდი ეკუთვნოდა „დინამოელ“ სტეფანოვს 13:2.

გუშინ, 25 სექტემბერს, ამხ. ბერიას სახელობის ველოდრომზე დაიწყო ველოშეჯიბრება საქართველოსა და სომხეთის ველოსიპედისტებს შორის.

სურათზე: მარცხნივ-საქართველოს ველოსიპედისტ-ქალთა გუნდი: გ. სელეზნევა, ი. ნაზარაშვილი, ვ. რაქსნევიჩი და მ. ნედოგარკო; მარცხნივ—სომხეთის ველოსიპედისტები: ზ. აკუნოვა და მ. მალხასიანი (სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატის მუშა-ქალები), რომლებიც მონაწილეობას იღებენ ველოშეჯიბრებაში.

ბროლის ჭურჭლის მაღაზია

24 სექტემბერს რუსთაველის პროსპექტზე № 8, გაიხსნა ბროლის ჭურჭლის ახალი მაღაზია.

„სოიუზსტეკლოსბიტს“ საბჭოთა კავშირში სულ ექვსი ასეთი მაღაზია აქვს გახსნილი. ამიერ-კავკასიაში ეს მაღაზია პირველია.

მაღაზიის შენობის გადაკეთებას და მხატვრულ გაფორმებას ხელმძღვანელობდა ინჟ. მასხულია.

მაღაზიაში ოთხი ძირითადი განყოფილებაა: ბროლის უმაღლესი ხარისხის ჭურჭლეულობის, ბროლის ვენეციური ჭურჭლეულობის, მორბილიტის და ბროლის დაწნეხილი ჭურჭეულობისა. ყველა განყოფილებაში ძვირფასი ჭურჭლეულობა მრავალ მომხმარებელს იზიდავს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ღვინისა, ლიქორისა და არყის გრაფინები, ყვავილის ვაზები, ღვინის და ჩაის ჭიქები და სხვ.

მაღაზიას ამჟამად აქვს 10 ვაგონი ბროლის ჭურჭლეულობა. ამ დღეებში კიდევ მოელიან 8 ვაგონ ჭურჭლეულს.

მაღაზიის წლიური საქონელბრუნვა ნავარაუდევია 1.500 ათას მანეთად. მაღაზიის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ოქტომბერში გახსნას ორი განყოფილება, ლენინისა და 26 კომუნარის რაიონებში.

□

ქვანახშირის ახალი კარიერის დამუშავება

ტყიბული, 23 სექტემბერი. ნაქერალის მთაგრეხილის კალთებზე მოიპოვება საბადო 640 ათასი ტონა ქვანახშირის მარაგით. ქვანახშირი მიწის ზედაპირზეა და მისი დამუშავება შესაძლებელია მაღაროს გაუთხრელად.

ამ კარიერის დასამუშავებლად გაგზავნილი იყო დიდი ექსკავატორი, მაგრამ შუაგზაზე მას კბილანა გაუტყდა და ექსკავატორი გაცდენილია ახალი, ტფილისში უკვე დამზადებული კბილანას მიღებამდე.

დიდი ექსკავატორის დასახმარებლად ლენინის კარიერიდან გაიგზავნა პატარა ექსკავატორი. სექტემბრის დამლევიდან ქვანახშირის ამ დიდი კარიერის დამუშავება ორი ექსკავატორით იწარმოებს.

ლუდის მეორე ქარხანა სანიმუშოდ მუშაობს

ლუდის მეორე ქარხანა სანიმუშოდ მუშაობს და წარმატებით ასრულებს საწარმოო გეგმის როგორც რიცხვობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა ქარხანამ 110,8 პროცენტით შეასრულა: ნაცვლად გათვალისწინებული 8.680 ჰექტოლიტრისა, გამოუშვა 9.448 ჰექტოლიტრი ლუდი.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი გაეცნო ქარხნის მუშაობას და დაავალა ტფილსოფლმრეწვის დირექციას — ერთი თვის ხელფასით დააჯილდოოს ლუდის ქარხნის დირექტორი.

ამავე დროს, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ლუდის ქარხანას ახალი დავალება მისცა: გაადიდოს ლუდის ასორტიმენტი და ვენურ ლუდთან ერთად გამოუშვას პილზენის და მიუნხენის ლუდი; მოაწყოს და მომავალი წლის დამდეგიდანვე აამუშაოს ლუდის საპასტერიზაციო აპარატურა და ლუდის მისაღებად საჭირო ნედლეულის საშრობი კამერა.

□ □ □

დაუდევრობის ფოტო-დოკუმენტი

ამ ბოლო დროს ტფილისში მეტად გახშირდა ტრამვაის ელექტრომავთულების გაწყვეტა და ამ მიზეზით ბიუგელების გადაწვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ტრამვაის დირექცია ყურადღებას არ აქცევს დაზიანებული მავთულების დროზე გამოცვლას. მარტო სექტემბერში აღნუსხულია ტრამვაის მავთულის გაწყვეტის ათი შემთხვევა და საათობით მოძრაობის შეწყვეტა.

21 სექტემბერს კ. მარქსის მოედანზე გაწყდა მავთული, რამაც გამოიწვია 125 ვაგონის 55 წუთით გაჩერება; სრულიად შესწყდა მოძრაობა მეექვსე, მეოთხე, მეთერთმეტე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მერვე მარშრუტებით.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. დირექციამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები ტრამვაის ნორმალური მოძრაობის მოსაწესრიგებლად, უზრუნველჰყოს ვაგონების რეგულარული მიმოსვლა ყველა მიმართულებით და თავიდან აიცილოს უბედური შემთხვევები.

აქ მოთავსებული ფოტო-დოკუმენტი გადაღებულია 21 სექტემბერს საბჭოს ქუჩაზე, სადაც მავთულის გაწყვეტის გამო 55 წუთით შესწყდა მოძრაობა და შეჩერდა 50 ვაგონი. **შ. ფ.**



ძვირფას ამხანაგის დაუვიწყარ ხსოვნას

დღეს სენაკის ძმათა სასაფლაო სამუდამოდ მიიბარებს სოციალიზმის მშენებლობის იშვიათ ენტუზიასტს, ენერგიულ მუშაკს, მებრძოლ ბოლშევიკს—ამხ. **მიშა ხოფერიას.**

საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების დღიდანვე ამხ. **მიშა** ხელში თოფ-იარაღით შეუპოვრად იბრძოდა კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე, ხოლო უკანასკნელ, შედარებით მშვიდობიან მშენებლობის პერიოდში კი ამხ. მიშა იჩენს უდიდეს ენერგიას, ინიციატივას, ახლებურ პირობებში ახლებურად მუშაობის უნარს—სოციალიზმის ფრონტზედაც.

ამხ. **მიშას** არა ერთხელ მიუშვერია თავისი ვაჟკაცური მკერდი კონტრრევოლუციის ბანაკიდან გამოსროლილ ტყვიისათვის, არა ერთხელ ჩაუნგრევია მას საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრების გულისფიცარი. სენაკელ და, განსაკუთრებით, ლეჩხუმელ ამხანაგებს კარგად ახსოვთ მიშას გმირული ბრძოლა ყოველ სახის ბანდიტიზმის წინააღმდეგ, პროლეტარულ დიქტატურის გამარჯვება-განმტკიცებისათვის.

არა ნაკლები ენერგია, გამჭრიახობა და სიმამაცე გამოიჩინა ამხ. მიშამ სენაკის რაიონის სოციალისტური მრეწველობის ბოლშევიკური ტემპით განვითარების საქმეში. როგორც ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის მმართველმა მთელი წლების განმავლობაში, მან გამოიჩინა ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ძვირფასი თვისებები: კონკრეტულ-ოპერატიულობა მუშაობაში, იშვიათი ინიციატივა, საქმის უანგარო სიყვარული, ბავშური გატაცება და რევოლუციური ენტუზიაზმი.

მიშას უშუალო ხელმძღვანელობით სენაკის ადგილობრივი მრეწველობა მტკიცედ ჩადგა მოწინავეთა რიგებში. გასაკვირიც არ არის, ტრესტის საწარმოებს არა ერთხელ მიუღიათ რესპუბლიკური გარდამავალი დროშა და თავისი ნაყოფიერი მუშაობით, მნიშვნელოვანი მიღწევებით მოსახაც დაუმშვენებია „კომუნისტის“ წითელი დაფაც.

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ როგორც ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკი ამხ. **მიშა** ეკუთვნოდა სოციალიზმის მძიმე ფრონტზე გმირულად მებრძოლთა იმ გამობრძმედილ არმიას, რომელიც მთლიანად და სავსებით ამართლებს ლენინურ-სტალინური პარტიის ნდობას.

ამხ. **მიშას** მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მარტო სოციალისტური მრეწველობის საკითხებით, ის ასეთივე ენტუზიასტი იყო საკოლმეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზედაც. ახალი სოფლის კოლმეურნეობათა განმტკიცებაში მიშას მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი თავისი დაუშრეტელი ენერგიით, ხელმძღვანელობით, ყოველდღიური ყურადღებით. მიშა ანთებული იყო საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვების რწმენით.

სენაკის ცნობილი მომღერალთა გუნდი, რ. შელეგიას ხელმძღვანელობით, რომელმაც შარშან ამიერ-კავკასიის ხალხთა ოლიმპიადაზე პირველი ჯილდო მიიღო, წარმოიშვა, ჩამოყალიბდა და მომწიფდა ამხ. მიშას უშუალო დახმარებით, ხელმძღვანელობით და ინიციატივით.

ასეთი იყო, მეტად მოკლე დახასიათებით, ამხ. **მიშა**,—მებრძოლი კომუნისტი, სოციალიზმის ენტუზიასტი, მტკიცე მუშაკი. ამიტომაც ბუნებრივია, თუ მიშას ვხედებოდით რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებში, ეს მან ჭეშმარიტად დაიმსახურა პარტიის ნდობის გამართლებით, დაუღალავი მუშაობით, ამ მუშაობის ნაყოფიერი შედეგებით.

და, აი, უბრალო ბრმა შემთხვევამ — ბრმანაწლავების ანთებამ—იმსხვერპლა ეს ადამიანი, შუა გზაზე შეწყვიტა მისი ბრძოლისა და შინაარსიანი სიცოცხლის გზა,—მოულოდნელად, მუხანათურად გამოსტაცა ჩვენს რკინისებურ რიგებს.

კიდევ ბევრის თქმა მსურს ამხ. მიშაზე, მაგრამ კმარა; კალამი ველარ მემორჩილება—მშრალი ცრემლებით იწერება ეს სტრიქონები...

გრ. მუშიშვილი

□ □ □

შემთხვევები

● **ქურდობა.** შეიპყრეს ცნობილი ქურდი-რეციდივისტი შ. ა. ბენიაშვილი (იგივე კრიხელი), რომელმაც მოქ. ა. ო. მჭედლიძეს საოჯახო ნივთები მოჰპარა. მ. ს. ბორისენკოს ბინაზე (კახეთის ქ. 53) ქურდობისათვის შეიპყრეს ც. ს. სუმბათოვი. ახალმშენებლობაზე (რუსთაველის პროსპექტი № 15) 8 კილო ლურსმნის ქურდობისათვის დააპატიმრეს ამავე მშენებლობის მუშაკი მ. ი. გვაზავა.

● **ნაქურდალი ნივთების აღმოჩენა.** დააპატიმრეს გ. ვ. კამინსკი, რომელსაც აღმოაჩნდა ჩემოდანი ნაქურდალი ნივთებით.

● **დაჭრა.** საბჭოს ქუჩაზე ჩხუბის დროს მოქ. გ. ი. ვარდიაშვილმა (საბჭოს ქ. 143) დასჭრა მოქ. შ. ა. გოგინაშვილი.

● **უბედური შემთხვევა.** ა.-კ. ფედერაციის მოედანზე № 3 სახლის მეოთხე სართულის კიბიდან ჩამოვარდა მოქ. ნ. პ. კოგანი და მძიმედ დაშავდა.

● **ხულიგნობა.** სიმთვრალის დროს ჩხუბისა და მოქალაქე გ. ვ. ზაქარეიშვილის (პიროგოვის ქ. 3) ცემისათვის შეიპყრეს ე. გ. ეგიაზაროვი.

● **გაუფრთხილებელი სვლა.** უნივერსიტეტის ქუჩაზე ავტომობილი № 24—52, რომელსაც მართავდა შოფერი ვ. ტ. გძელიძე (ვარდისუბნის ქ. 1), დაეჯახა ა. გ. აზიაზიანის ფურგონს. ლენინის ქუჩაზე ავტომობილი № 16—63, რომელსაც მართავდა შოფერი მ. ს. ბუკია (ცელიაბოვის ქ. 23), დაეჯახა მოქ. გ. ი. მეზურნოვს (ცეტკინის ქ. 77) და მსუბუქად დაშავა.

რადიო-გადაცემა

26 სექტემბერი

18.05 — გადაცემა სკოლამდელთათვის. პროგრამაში—მწერალ მარშაკის „პეტრუშკა“ (რუსულ ენაზე).

19.00 — გასართობი—მუსიკის კონცერტი (ჩაიკოვსკი, ბოროდინი, რიმსკი-კორსაკოვი), მონაწილეობენ ფეოდოროვა (სოპრანო) და მარგიევი (ბარიტონი).

19.30 — გადაცემა უფროს მოწაფეთათვის. პროგრამაში — საბჭოთა კომპოზიტორები.

20.20 — საკოლმეურნეო გადაცემა. მიკროფონთან — რადიო-კომიტეტის ინსტრუმენტალური ანსამბლი.

რედაქციის ტელეფონები:

პ.-მგ. რედაქტორის	3—62—21
რედაქტორის მოადგილის	3—63—03
რედაქტორის მოადგილის	3—08—67
პ.-მგ. მდივნის	3—57—61
სამდივნოს	3—06—85
პარტმშენებლობის განყოფილების	3—57—61
სამრეწველო განყოფილების	3—73—40
მუშგლეხკორთა განყოფილების	3—78—
სტამბის	3—27—
გამომცემლობის	3—51—81

მიღების საათები: დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე ყოველდღე.

რედაქცია ხელთნაწერებს ავტორებს არ უბრუნებს.

მისამართები: რედაქციის—რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34.

საკლუბო, სავარჯიშო ბაქანს წარმოადგენს.

ეხლა მოუსურვებიათ და დაუდგენიათ კიდეც ახალი თეატრის აგება. მაგრამ კინაღამ ისე დაუდგენიათ, რომ თეატრი ქალაქის განაპირას ხვდებოდა. ეს ადგილი მდებარეობს ზედ ხიდთან, მტკვრის პირად და ახლად მოსულს, მართლა, კარგ ალაგად მოეჩვენება. ქალაქი კი ჩრდილო - აღმოსავლეთით არის გაშლილი და, ცხადია, ეს ადგილი დაშორებულია.

ეხლა ეს შეცდომა გამოსწორებულია. ამას დასჭირდებია ზემდგომ ორგანოთა ავტორიტეტული ჩარევაც. ასე რომ ეხლა ადგილი აუცილებლად კარგია არჩეული, ქალაქის შუაგულ, ოთხივ-კუთხივ ქუჩებს უვლის, საკმაოდ დიდი მოედანი, ყველასათვის დამხრობილი და სხვ. მაგრამ—.. მომავალ გეგმას ერთი შეცდომა მაინც შეჰპარვია. და ამაზე უნდა ვიყვიროთ და ავტეხოთ განგაში გორელ მცხოვრებლებთან ერთად ჩვენ საერთოდ ხელოვნების ხალხმა და განსაკუთრებით თეატრის კაცებმა.

საქმე ის გახლავთ, თეატრი შენდება ისე, რომ ხუთასი კაცის მეტს ვერ დაიტევს. და ეს მაშინ, როდესაც ეხლაც საზაფხულო შენობაში 700 კაცზე მეტი ეტევა და თუ რამე საყურადღებო წარმოდგენაა, მსურველი ბევრად მეტია ხოლმე. მაგ., წლევანდელი ოპერის გასტროლები. ეს დღესაც ასეა და რა იქნება ამ 2—3 წელიწადში, როდესაც გორი ნამდვილ ქალაქის სახეს მიიღებს, როდესაც მცხოვრებლების რიცხვი, უთუოდ, ერთიორჯერ მაინც იმატებს და ეხლა მიმსვლელები ჩათვალეთ, რადგან არის იმის ნიშნები, რომ გორს ამიერიდან დიდ-ძალი ხალხი მიაწვება. გორს აქვს ამისი პერსპექტივაც და უფლებაც.

ასე, რომ მომავალი თეატრის გეგმა აუცილებლად უნდა გადასინჯულ იქნას და მიზან-შეწონილად გაფართოვდეს.

ამგვარად, როგორც ხედავთ, გორი გაფაციცებით მშენებლობს: წყალ-სადენი, პედ-ინსტიტუტი, თეატრი, კინოს ახალი კოხტა შენობა რომელიც წლეულსავე იქნება მზად, ბიბლიოთეკა — მუზეუმი, ახალი სასტუმრო, ლიახვის ხიდი, ახალი საჰაერო გზა სადგურისაკენ და სხვ. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ ერთ წელიწადში გორი ძალიან დაძაბულა მუშაობით.

მხოლოდ ხელოვნების საქმე, მეტი რომ არა ვთქვათ, ძალიან მინელებულია:

გორს არა ჰყავს მუდმივი დასი. არ მუშაობს ლიტერატურული წრე. არ გაიხსნა სამუსიკო დაწყებითი სკოლაც კი.

იყო ორი პირველი და მესამისა განზრახვა გვქონდა დაგვეარსებინა, მაგრამ უბინაობამ ხელი შეგვიშალაო, მითხრეს გულის-ტკივილით.

მობოდიშება, რასაკვირველია, საქმეს ვერ უშველის და ყველა ამათ ეხლავ უნდა გამოსწორება:

მუსიკალური სკოლა უსათუოდ უნდა დაარსდეს და საგანგებო ზომები უნდა იქნას მიღებული ბინის საშოვნელად.

ქართლი უნდა ამღერდეს განსწავლულად ახალ ჰანგზე. ქართლში მუსიკალური დიდი შესაძლებლობაა და ამის მოთავეც გორი უნდა გახდეს.

თეატრალური სეზონი წრეულსაც უნდა გაჩაღდეს, თორემ მომავალ სათეატრო შენობას ვერ დაუცდის მიმდინარე ცხოვრება.

გამიგონია, რომ ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში გორში დაარსებული ყოფილა დასი ადგილობრივ ინტელიგენტთაგან და მეცენატთა დახმარებით კარგა ხანგრძლივადაც უარსებნია. ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე ღებულობდნენ მონაწილეობას და მათ ეხმარებოდნენ მწერლები სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომაური და სხვანიო.

მაშ თუ კი იმ ყრუ დროს შესაძლებელი იყო რეგულარული წარმოდგენების მართვა, მით უმეტეს ახლა უნდა ჰყავდეს 1 პატარა დასი მაინც.

ეგრევეა სალიტერატურო წრის მუშაობაც გორს ამის ტრადიცია აქვს. სხვა არა იყოს რა აქედან არიან გამოსულნი იგივე **ნიკო ლომაური, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიჭიერი დრამატურგი აზიანი** და სხვ.

პირველმა ორმა გორი ცოტა თუ ბევრად გაამუქა თავის ნაწარმოებში, სოფრომ მგალობლიშვილმა მის მოგონებაში „წარსულიდან“ და ნიკო ლომაურმა თავის „წუთი სოფელში“ გამოყვანილ საშაზრო ქალაქში. ნატ. აზიანმა ხომ ისე ხელმოდებით ასწერა თავის მოხდენილ კომედიებში ძველი პროვინციის ქალაქი თავისი ბედოვლათი კნიაზებით და დოვლათიანი სოფლებით, რომ გორის წარსულის გასაცნობად მსურველს მატიანეებში ქექვა აღარ დასჭირდება.

ეხლაც არის იქ სალიტერატურო წრე, არის ძალები, მაგრამ საკმაო აქტიობა ჯერ კიდევ ვერ გამოუჩენიათ. ჩემის ფიქრით, საჭიროა ჩვენი მწერალთა კავშირი ჩაერიოს ამ საქმეში, დროდადრო მოაწყოს გორში მოხსენებები, ლექციები, მოაწყოს სემინარული მუშაობა და ადგილობრივ ჩამოაყალიბოს სალიტერატურო კაბინეტი.

ამას გორელები დიდის სიხარულით შეხვდებიან განათლების განყოფილება, ადგილობრივი გაზეთის რედაქცია და პირადად ამხ. ალექს. ცაბაძე, თავმჯდომარე ქალაქის საბჭოსი, რომელიც თითონ არის მწერალი კაცი, ხელოვნების დიდი მეგობარი და, ცხადია, ყოველი მხრით ხელს შეუწყობს ასეთ წამოწყებას. ასე რომ ამ მხრივაც დაიძვრის ყინული.

აპირებენ კი, ჯერჯერობით ერთ ლიტერატურულ თავმოყრას. ეს უკავშირდება ნიკო ლომაურის ცხედრის გადასვენებას უფრო თვალსაჩინო ალაგას და ამ ლიტერატურულად საზეიმო დღეს შეიძლება ტფილისელების დახმარებით თავი მოების ხსენებულ რეგულარულ მუშაობასაც.

მაშინ ყოველმხრივ იქნება გორი ამოძრავებული. და ყველა ხაზები მომავალი სანიმუშო ქალაქისა ეხლავ იქნება ჩასახული.

რატომ სანიმუშო ქალაქი?

გარდა იმისა, რომ იგია გული ქართლისა, აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა და ბუნებრივი პერსპექტივები, მას აქვს დიდებული აწმყო: იგია მშობლიური ქალაქი კაცობრიობის პროლეტარიატის დიდი ბელადისა.

არამც თუ მარტო გორის მშრომელმა მოსახლეობამ და ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, არამედ მთელმა საქართველომ უნდა მოინდომოს რომ გორი სანიმუშო სოციალისტური ქალაქი შეიქნას.

იქ უნდა გაჩაღდეს კერა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, სისუფთავისა და ჯანმრთელობისა, ახალი ცხოვრების საუკეთესო გამოვლინებისა, მზიურ ადამიანთა აღზრდისა და გამოჭედვისა.

ერთი დეტალი: ამდენს რომ აშენებენ, გულუბრყვილოდ ვიკითხე, გორის მიწისძვრა გათვალისწინებული გაქვთ თუ არა-მეთქი და არ შემირცხვენიეს უტაქტო კითხვა. სპეციალისტებმა თავაზიანად ამიხსნეს, რომ ეგ გათვალისწინებულია და ზომებიც არის მიღებული, რომ შენობებმა სიმტკიცე შემოინახონო. ჩვენ მიერ აგებული შენობები სტრატოსფეროში თუ გავარდება, მოსწყდება დედამიწას, თორემ მიწისძვრა მას ველარას დააკლებსო. ამ მხრივ საქმე უზრუნველყოფილია.

მაშ მოდით, საუკეთესო ჩვენი ხუროთმოძღვრებო, გაამშვენიერეთ ეს ქალაქი თქვენის მაღალ ნიჭიერი შემოქმედებით.

მხატვრებო მოდით და „მიიჯარეთ!“

არტისტებო, უმღერეთ ამ საამაყო ბუდეს!

სიტყვის ოსტატებო, აღწერეთ ეს მომავლიანი ქალაქი, სთქვით ლექსი და პროზა ისეთი, რომ მართლაც— „ცამ ქუხილი დაიწყოს!“

სახელმწიფო ოპერის თეატრი
აბონემენტების გაცემის უკანასკნელი ვადა
შემოტანილი განცხადების მიხედვით 30 სექტემბერი არის.
1 ოქტომბრიდან იწყება მოუკითხავი აბონემენტების ინდივიდუალური გაყიდვა.
განცხადების მიღება დროებით შეწყვეტილია.
სალაროები ღიაა დღისით 11-დან 2 საათამდე, საღამოს 7-დან—10 საათამდე
2-2 365

რუსთაველის თეატრი
1935—36 წლ. სეზონი.
1935—36 წლის სეზონის დასაწყისის მოახლოების გამო მუდმივი ადგილების და დარჩენილი აბონემენტების შეძენის უკანასკნელ ვადად ცხადდება 10 ოქტომბერი.
აღნიშნული დროის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
სალარო ღიაა დღ. 11—2 ს., საღ. 7—9 საათ.
366 6—1 დირექცია.

ოქტომბერი
6-30, 8-30, 10-30
დამკვრელი საზ. საზაფხ.
6-30, 8-30, 10-30
ტემპი (საზამთ. ბიოგრ.)
7-30, 9-15, 11-30
რ. ლუქსემბურგის სახ.
6-30, 8-30, 10-30
ეთერი (საზაფხ.)
7-30, 9-45, 11
„26“-ის კომ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-15, 10-15

ხმოვანი ფილმი პეპო დადგმის მეორე თვე
საზაფხ.—ელისო
საზამთ.—უცხოეთის ხმოვ. სურ. პეტრ (პეტერ)
უცხოეთის ხმოვანი ფილმი პეტრ (პეტერ)
ხმოვანი ფილმი პეპო დადგმის მე-2-ე თვე
მცდარ კვალზე მე-3-ე სერია.
პროგრ. გარეშე ფიზიოლოგთა მე-15 კონგრესი
საზაფხულო და საზამთ. შენობაში პეპო სომხური ვარიანტი
ხმოვანი კომედია ცხარე დღეები

საბჭოს ქ. № 253 მოგვპარეს ალია ნიველირი № 1602. პატრონს ვთხოვთ გამოცხადდეს. 9596

ტრამვაის დ. მ. კოოპერატივის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დ.-მ.-კ-ს თანამშრომელს რომან გოგიბედაშვილს მისი შვილის
პატარა **ნოდარის**
უდროოდ დაკარგვის გამო. 9608

ღრმად დამწუხრებულნი „საქზაგოტზერნოს“ წნორისწყლის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ამავე დაწესებულების საქმეთა მმართველის, საუკეთესო მეგობრის
მიხეილ ბროდიონის-ძე **გოცირიძის**
გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. სიღნაღში, 26 სექტემბერს. 9587

ღრმად დამწუხრებული მშობლები — ბაბინე და ანდრია, ცოლი ზინა და შვილი რევაზი, დები: ლეონინა და ქენია, ძმები: ვახტო, გრიშა და ვალოდია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი
მელიტონ **ლომაძე**
დასაფლავება დღეს, სოფ. შემოქმედში.

ნიკო (აღიშერი) და გუცი მეტრეველები მშობლებით, დავით და აგრაფინა კერესელიძეები შვილებით, რძლებითა და შვილიშვილებით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ შვილის და შვილიშვილის
პატარა **ციციკოს**
უდროოდ დაკარგვის გამო. 9590

შვილები: კასიანე, მირიან, ვანო, ოქროპირ, ლოლა, სელო, რძლები: ელენე, ანიკო, ელენე, შურა ეზიეშვილები შვილებით იუწყებიან
სადიკო მეთოდეს ასულ
ეზიეშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 სექტემბერს ზემოსურებში. 9588

მეუღლე ელისაბედ, შვილები: პოლიექტორ, ნეოფიტე, ანტიფო, გოგი, ვასო ცოლშვილებით, ქალიშვილები: გოგუცა, თინა, სიძეები სერაფიონ ხაცელიშვილი, კოლია თოთიბაძე იუწყებიან
დიომიდე კონსტანტინეს-ძე
ჭეიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება 28 სექტემბერს, ს. ჟანაში. 9589

ქალაქ ცხაკაიას საქალაქო საბჭო და საქალაქო საბჭოსთან არსებული პირველადი პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ცხაკაიას ადგილ. მრეწვ. ტრესტის მმართველის, საქალაქო საბჭოს წევრის
ამხ. მიშა ხოფერიას
უდროოდ დაკარგვას. 9599

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატი ღრმის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 23 სექტემბერს ქ. მიხა ცხაკაიაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალ. ცხაკაიას ადგილობრივ მრეწვ. ტრესტის მმართველი
ამხ. მიხეილ კონსტანტინეს-ძე ხოფერია
დაკრძალვა იქვე 26 სექტემბერს. 9615

ქ. მ. ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის გაერთიანებაში შემავალი საწარმოების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან საყვარელ ხელმძღვანელის, ქ. მ. ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის მართველის
მიშა კონსტანტინეს-ძე ხოფერიას
უდროოდ დაკარგვს. 9604

ქ. ცხაკაიას (სენაკის) რაიონის ხალხურ მომღერალთა ეთნოგრაფიული გუნდი მწუხარებით იუწყება გუნდის გამგეობის თავმჯდომარის
ამხ. მიშა ხოფერიას
უდროვოდ დაკარგვას. 9604

უახლოესი ამხანაგები: მ. ჯანელიძე, ნ. ხარბედია, შ. ალანია, ა. ტყებუჩავა, გ. კალანდაძე, შ. ეჯიბია, პ. ჩაჩიბაია, ლ. მირცხულავა, მ. ტყებუჩავა, ხ. ჩაჩიბაია, ს. ჭავჭანიძე ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საყვარელი და დაუვიწყარი ამხანაგის
მიშა ხოფერიას
უდროოდ გარდაცვალების გამო. 9591

უახლოესი ამხანაგები: მ. ბარამია და შ. იოსავა, ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მებრძოლი ბოლშევიკის, სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტის
ამხ. მიშა ხოფერიას
უდროვოდ გარდაცვალების გამო.

უახლოესი ამხანაგები: ს. დგებუაძე, ა. კილასონია, ბ. კალაძე, ევ. სანაია. ან. მზარელუა, ჯ. ჯანჯღავა, ვლ. ადამია, ი. ლომია, ა. ბახტაძე, დ. გოგია, ს. გვარამია, ს. ნადარეიშვილი, მ. გაბესკირია მწუხარებით იუწყებიან
მიშა ხოფერიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 სექტემბერს, ქ. ცხაკაიაში—ძმათა სასაფლაოზე. უფ.

დამწუხრებული მშობლები: ელენე, თეოფილე, ძმები: ვასო და ტიტიკო ცოლშვილით ელიკოთი და ზინათი იუწყებიან, რომ 23 სექტემბერს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი
ვერა თეოფილეს ასული
გორდელაძე 9595

მეუღლე ნიკოლოზ დით ანიკათი, შვილი ალეკო იუწყებიან დაუვიწყარი
თამარ ილიას ასულ თვალაშვილის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 26 სექტემბერს, 5 ნახევარ საათზე ნ. მარის (უნივერსიტეტის) ქ. № 22. 9612

რესპ. საფთ. სამმართველოს სამკურნალო ხედი მწუხარებით იუწყება თავდადებული, ენერგიული, პატიოსანი მომუშავის პროვიზორი ამხ.
ვალენტინა გრიგოლიას ასულ
შევანდინას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 სექტემბერს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება სანაპირო ქ. № 1. 4 ს. პანაშვიდი დღეს, 7 ს. 9609

დედა ეკატერინე, ძმები: მიშა, გიგო, ილიკო კიკნაძეები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებ-მეგობრებს და ნაცნობებს თავიანთი ძმის ნიკო კიკნაძის საყვარელ ბავშვის
გულნარას (დარეჯანის)
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 სექტემბერს, 5 ს. 9593

დედა ეკატერინე, ძმები მიშა, გიგო, ილიკო კიკნაძეები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს თავიანთი ძმის ნიკო კიკნაძის საყვარელი ბავშვის
გულნარას (დარეჯანის)
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 სექტემბერს, 5 ს. 9593

კოკოშა (ნიკოლოზ) ლომაია დედით აგრაფენათი აუწყებენ ნათესავებს პირველის დისწულის და მეორის შვილიშვილის, პაწია ,საყვარელ
გულნარას (დარეჯანის)
უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა 26 სექტემბერს 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 9594

ტფილისის საბჭოს ჯანგანყოფილების სავეტერინარო ინსპექციის თანამშრომლები იუწყებიან ვეტექიმ მესხიძის დედის
დარია ბესარიონის ასულ მესხიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 26 სექტემბერს, 5 ს. ბინიდან, არაგვისპირელის შეს. № 2-6. 9600

გულდადაგული მშობლები: საშა და ნიკო კიკნაძეები შვილით ლეილათი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პატარა, საყვარელ
გულნარას (დარეჯანის)
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 26 სექტემბერს 5 ს. მიხა ცხაკაიას ქ. № 4, ვერის სასაფლაოზე. 9592

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი, იონა, შვილები: ალექსანდრე, შალვა, სულიკო და მიშა თავიანთი ცოლშვილით, სიძე სტეფანე შვილებით იუწყებიან
დარია ბესარიონის ასულ მესხიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 26 სექტემბერს 5 ს. არაგვისპირელის შეს. № 2-6. 9601

მამა ილია არსენიშვილი, და მარგალიტა, ძმები: ალი, ალექსანდრე, დავით და შოთა იუწყებიან ძვირფას
თამარ ილიას ასულ თვალაშვილის
უდროოდ დაკარგვას. 9611

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ბ 8532